# საბურთაო კი არა, სარბიელი

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 30 ოქტომბერი 1998 №197 (732) ფასი 50 თეთრი

## ნერვებს ნუ აჰყვებით, თორემ დაისჯებით



### ვიტელებს სამი ქულა დააკლეს, გიორგი ჭანკოტაძე კი „მერანთან“ მატჩისას თანამსაჯ ნუგზარ რუსიშვილის ცემისთვის ერთი წლით მოკვეთეს!

საქართველოს ჩემპიონატი — 11 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 8 | 2 | 1 | 29:12 | 26 |
| დინამო | 10 | 7 | 3 | 0 | 35:7 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 6 | 0 | 15:5 | 21 |
| დილა | 11 | 6 | 2 | 3 | 16:11 | 20 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 23:13 | 20 |
| ბათუმი | 11 | 4 | 5 | 2 | 18:10 | 17 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 22:25 | 16 |
| ოდიში | 11 | 4 | 1 | 6 | 8:16 | 13 |
| არსენალი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | 12 |
| მერანი | 11 | 2 | 6 | 3 | 7:11 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 11 |
| გურია | 11 | 3 | 1 | 7 | 13:29 | 10 |
| თსუ | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | 9 |
| გორდა | 11 | 1 | 6 | 4 | 6:8 | 9 |
| სიონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:26 | 8 |
| სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | 7 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა



გუშინ თსუ „აზოტთან“ კი დამარცხდა, მაგრამ სტუდენტებმა დაამტკიცეს რომ ყველასთვის ანგარიშგასაწევნი არიან

საქართველოს ჩემპიონატი — 6 ტური

28 ოქტომბერი. ოთხშაბათი

კოლხა 80:104 შევარდენი

ვითა 90:85 მაკაბი

29 ოქტომბერი. ხუთშაბათი

სდასუ 76:91 დინამო

თსუ 91:99 აზოტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| აზოტი | 5 | 5 | 0 | 471:398 | 10 |
| თსუ | 6 | 3 | 3 | 540:514 | 9 |
| ვითა | 5 | 4 | 1 | 370:357 | 8 |
| შევარდენი | 5 | 3 | 2 | 349:339 | 8 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 424:415 | 8 |
| კოლხა | 6 | 1 | 5 | 473:570 | 7 |
| მაკაბი | 6 | 0 | 6 | 483:535 | 6 |
| სდასუ | 5 | 0 | 5 | 385:449 | 5 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

იხილეთ მეცხრე გვერდი

## ძველი სტუმრები, ახალი მასპინძლები



ბადრი კეთილაძის ფოტო

ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ სტუმრები კახი ასათიანსაც აწვია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პირველი ოფიციალური სტუმრები მიიღო. გუშინწინ თბილისს ჩამოვიდნენ უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ასოციაციებისა და დახმარებს დეპარტამენტის უფროსი ერიხ ეპლე და ამავე ორგანიზაციის სტადიონების შემსწავლელი კომიტეტის თავმჯდომარე და დახმარების ბიუროს წევრი, ბატონი ერნი უოქერი.

სტუმრებმა გუშინ მერაბ ჟორდანიასთან ერთად ლამის მთელი თბილისი შემოიარეს. ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ უეფას წარმომადგენლებმა ეროვნული სტადიონი მოინახულეს, მერე ქალაქის მერს ესტუმრნენ, ვაკის სტუდქალაქის მახლობლად ახალგახსნილი, ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლის მინი-მოედანსაც მიაკითხეს, თავად ცნობილი ნოდარ ახალკაცის საფლავთანაც თავი დახარეს, ბოლოს კი ოლიმპიურ კომიტეტსა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ეწვივნენ.

ოლიმპიურ კომიტეტში სტუმრებს ჯანო ბაგრატიონმა და ემზარ ზენაიშვილმა უმასპინძლეს. ერთმანეთთან გულთბილად, საქმიანად ისაუბრეს და ერთი-ორი გაიხუმრეს კიდეც. ქართველები ევროპაში პირველები მაინც ვართ, მგონი, ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჩვენ გვყავსო — თქვა ბატონმა ჯანომ, უოქერმა კი პასუხად — ერთი უეფას არ შველის არაფერი, სულ ჩემი ხნის ხალხი მუშაობსო. მერე ეპლემ, ეტყობა, შემთხვევით ისარგებლა და ბაგრატიონსა და ზენაიშვილს ისიც სთხოვა, იქნებ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევისას მხარი შვეიცარიულ სიონს დაუჭიროთო. ასე იქნებაო — დაამშვიდეს სტუმარი. ამის შემდეგ სტუმარ-მასპინძელმა სუვენირები გაცვალეს და ოლიმპიური მუზეუმიც მოინახულეს. ქართველთა მიღწევებსა და ჯილდოებს გაეცვნენ, მანქანაში ჩასხდნენ და კახი ასათიანს მიადგნენ.

იხილეთ მეორე გვერდი

### ჰოლანდია

თასის გათამაშება

ჰეერენვენი (II) 3:1 დენ ბოსხი (II)

### საფრანგეთი

XI ტური

ლორიანი 1:3 მარსელი

0:1 ბაფია (25), 1:1, 1:2 რავანელი (55, 65), 1:3 პირესი (86)

მონაკო 3:1 ნანტი

1:0 გავა (32), 1:1 ფაბრი (42), 2:1 ლეონარდი (60), 3:1 იკპება (77)

ლიონი 0:0 ლე ავრი

### იტალია

თასის მერვედფინალი

ლაციო 3:1 მილანი

0:1 ბირჰოფი (6), 1:1 მიხაილოვიჩი (28), 2:1, 3:1 მანჩინი (71, 90)

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო (ნეგრო 72), სტანკოვიჩი (ვენტურინი 69), ალმეიდა, ნედვედი, სალასი (ბარონიო 89), მანჩინი

მილანი: როსი, ნგოტი, კოსტაკურტა, აიალა, ბა (ჰელვეგი 77), ამბროზინი, ბობანი, ცოგე, მორფეო (ჯული 81), ბირჰოფი (განცი 46), ვეა

გაძევება: კოსტაკურტა (90)

### საპორტას თასი. VII ტური

A ჯგუფი

ატლეტასი 70:69 კალევი

### ევროლიგა IV ტური

B ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა 67:70 მაკაბი

### კორაჩის თასი. II ტური

A ჯგუფი

ინტერი 67:62 გალათასარაი

D ჯგუფი

ჟელეზნიკი 72:63 ფრიბურგი

P ჯგუფი

ბეოგანკა 92:73 სვიტი

## მოსეშვილი ბიჭებს გადაითვლის

29 ოქტომბრიდან, ანუ გუშინდლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს კალათბურთელთა ჩემპიონატის ექვსი ტური მიილია, 6 დეკემბრამდე შესვენება გამოცხადდა. ამის მიზეზი კი ეროვნული ნაკრებია, რომელსაც ნოემბერ-დეკემბერში ევროპის პირველობის შესარჩევი წრის სამი მატჩი ელის ჩეხეთის (სტუმრად), შვედეთის (შინ) და თურქეთის (სტუმრად) გუნდებთან.

ჩვენი ნაკრები მზადებას ორშაბათიდან შეუდგება დილმის ბაზაზე და როგორც მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა გვითხრა, ფინანსური პრობლემების მოგვარების შემთხვევაში 15 ნოემბრიდან წვრთნას ისრაელში განაგრძობს.

ამ დღეებში ისრაელიდან იქ მოთამაშე რევაზ ჩხეიძეს დაურეკავს, აქ ყველაფერი მზადაა და გელოდებიანო.

ახლა ყველაფერი ფედერაციასა და მის მარიფათზე ჰკიდია, რადგანაც საამსაქმოდ 35 ათასი დოლარია საჭირო. თუ შეიძლეს და ნაკრებს შეკრება გაუხერხეს, ლეგიონერებიც იქ შეუერთდებიან და მას შემდეგ, რაც სამ ამხანაგურ შეხვედრასაც ჩაატარებენ, პირდაპირ ჩეხეთს გაფრინდებიან 25 ნოემბერს სათამაშოდ.

მოსეშვილისგანვე ნაკრებში მიწვეულთა ვინაობაც შევიტყვეთ. ისინი ამჟამად თოთხმეტნი არიან, მათგან კი ათი საუკეთესო შეირჩევა. აი, ისინიც:

ვლადიმერ სტეფანია, ვლადიმერ ბოისა (ორივე „ოლიმპია“, სლოვენია) ვახტანგ ნაცვლიშვილი (უგუნდო), მამუკა აბრამიძე, გიორგი გაგნიძე (ორივე „ვითა“), ირაკლი ჯაფარიძე, არჩილ ჟღენტი (ორივე „აზოტი“), ვასილ ოთიურიძე, გიგი ნაცვლიშვილი (ორივე სტუ), ირაკლი ვაშაკიძე („სპარტაკი“, რუსეთი), რევაზ ჩხეიძე („ჰაპოელი“, ისრაელი), დავით ბერძენიშვილი („სლოვაკოფარმა“, სლოვაკეთი), ირაკლი მაისურაძე („დინამო), ლევან ქარაბაკი („ბელოეცერკოვი“, უკრაინა).

დღეისთვის თბილისში რვა ამათგანია და საიმისოდ, რომ წვრთნის პროცესი უფრო საინტერესო და ინტენსიური იყოს, მათ ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც (ნინიაშვილი, უგრეხელიძე, შანიძე, ცქიტიშვილი, ნიკოლაძე, წიკლაური) დაემატებიან.

გიორგი ბიკაშვილი

# ძველი სტუმრები, ახალი მასპინძლები



ერიხ ეპლეს და ერნი უოქერს ახლა უკვე მერაბ ჟორდანია მასპინძლობს

დასაწყისი პირველ გვერდზე

კარს მიღმა თითქმის ორ საათს ისაუბრეს. „თბილისში ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი თქვენთან შეხვედრაც იყო. თქვენს ოჯახს შეუძლია, ქართული სპორტის ბედი გადაწყვიტოს. ნამდვილად ღირსეული სიძე გყავთო“ — ერნი უოქერი დეპარტამენტის თავმჯდომარეს მიესალმა.

სტუმრები მეტად დაღლილები იყვნენ. „შერატონ პალასში“ მოსასვენებლად მიიჩქაროდნენ. ჩვენც აღარ გვიცდია მათთან გასაუბრება. სამაგიეროდ, მათმა თანმხლებმა, დღემდე „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვითხრა: „გეგმებზე დაწვრილებით ხვალინდელ ალმასკომის სხდომაზე მოვილაპარაკებთ. ქართული ფეხბურთის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს დავსახავთ, სტუმრებს მოვახსენებთ და ამის შესაბამისად დახმარებასაც მივიღებთ. უოქერი და ეპლე კმაყოფილები დარჩნენ, ყველა შეხვედრამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. მერაბ ჟორდანიას ადრეც ვიცნობდით, ვენდობით, გვჯერა, მისი ხელმძღვანელობით ქართული ფეხბურთი საშუალო ევროპულ დონეს გაუთანაბრდება, თქვენთა ახალი ერა იწყება, ნოდარ ახალკაცის მმართველობის პერიოდი უკვე ისტორიააო — აღნიშნეს უეფადან ჩამოსულებმა. ჩვენ მათი გვეიმედება, თავად მერაბიც კარგ განწყობაზეა. „ერთი სიტყვით, დახმარება რა რაოდენობითა და რა სახით მოგვეცემა უეფასგან, ამას უახლოეს მომავალში გავარკვევთ, მანამდე კი ალმასკომზეც ვისაუბრებთ“ — დასძინა რომან შოთაძემ.

სტუმრები უეფას ხვალ დაუბრუნდებიან, მერე იმსჯელებენ და ვნახოთ. იქნებ ერიხ ეპლეს ამჟამინდელი ვიზიტი მაინც იყოს წინგადადგმული ნაბიჯი.

**კობა ინასარიძე**



ევროპელი სტუმრები საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც ესტუმრნენ

# ოთარ შენგელია მარცხი ჩვენი, მწვრთნელების ბრალია



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე წასვლის წინ საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის უმთავრესი საზრუნავი მაღალმთიან ადგილებში თამაში იყო, მით უმეტეს, რომ ქართველებს ანალოგიურ პირობებში მომზადების შანსი არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, იმედი გვქონდა, რომ ბიჭები წარმატებით გადალახავდნენ ამ ბარიერს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — სამი მატჩიდან ორში დამარცხდნენ და ევროპის ჩემპიონატს მიღმა აღმოჩნდნენ. მიზეზები, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, მით უფრო, როგორც აღმოჩნდა, ნაკრების ხელმძღვანელობას ავსტრიაში სულ სხვა საწუხარი გაუჩნდა. თუმცა უმჯობესია, ყველაფერი თავად ოთარ შენგელიასგან, ნაკრების დამრიგებლისგან შევიტყოთ.

— მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატები ძალიან მაღალ დონეზე ტარდება. გამონაკლისი არც ეს ტურნირი ყოფილა. საუცხოოდ დაგვხვდნენ და უმაღლესი კლასის სასტუმროში დაგვაბინავეს აზერბაიჯანელებთან ერთად. ბუნებაც მშვენიერი იყო — ალპებში ვიყავით. ერთი სიტყვით, იდეალური პირობები შეგვიქმნეს. ავსტრიაში სამი დღით ადრე ჩავედით. ვფიქრობდი, უკეთესი იქნებოდა, ადგილზე დაგვესრულებინა მოსამზადებელი პერიოდი და ასეც მოვიქეცით, მაგრამ...

თავდაპირველად მასპინძლებს შევხვდით. პირველი ტაიმი პირწმინდად წავაგეთ. აქ ბიჭებზე, ისევე, როგორც ჩვენზე — მწვრთნელებზე, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა იმოქმედა. რას ვიზამთ, ეს ჩვენი ნაკლია, მაგრამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა, ჩანს, მძიმე ტვირთი ყოფილა. პირველ ტაიმში ბიჭები თითქმის ვერ მოძრაობდნენ, ისე იყვნენ ემოციურად დათრგუნულები. მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა, თითქმის სულ ჩვენ ვუტევდით, მაგრამ გოლი კი ვერ გავიტანეთ. ისე, ავსტრია არ იყო ისეთი გუნდი, რომლის დამარცხებასაც ვერ შევძლებდით, თუმცა, როგორც გითხარით, მოთამაშეები ფსიქოლოგიურად ვერ იყვნენ სათანადო დონეზე. ეს კი მწვრთნელების ბრალია. ამ თამაშის შემდეგ აზერბაიჯანელებისა და ბერძნების მატჩი ვნახეთ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენს მეზობლებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყოლიათ. რაც შეეხება ბერძნებს, ასეთი ათლეტური გუნდი ჯერ არ მინახავს — ერთი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენ მონაწილეებზე.

მეორე მატჩში ბერძნებთან აუცილებლად მოგება გვჭირდებოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რაც პირადად ჩემი ბრალია. შეცდომები დავუშვი შემადგენლობის შერჩევისას. ტრავმირებულ ხალხს ვანდე ადგილი ძირითადში. მეორეც — შემტევი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა. ეს იყო ბერძნებთან წაგების ძირითადი მიზეზები.

აზერბაიჯანელებთან მატჩს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ერთხელ მაინც ხომ უნდა მოგვეგო. ეს ბიჭებმაც კარგად გაითავისეს და ის შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს. მოკლედ, ამ ტურნირმა, თუმც კი დიდი, მაგრამ მხოლოდ გამოცდილება შეგვძინა.

ის, რაც ჩვენ ამ ნაკრებისთვის გავაკეთეთ, არსად არ ხდება. ათი თვეა, გუნდი არ გაგვიშვია. ნაკრებებში კი მოგეხსენებათ, როგორც ხდება, ორჯერ ან სამჯერ იკრიბებიან სულ, მაგრამ ეს რომ არ მოგვეხერხებინა, შედეგები ათჯერ უფრო სავალალო იქნებოდა. მით უმეტეს, თავი მართლებად ნუ ჩამომართმევთ, ეს ასაკი ჩვენში შედარებით სუსტია. ერთადერთი, რაშიც ყველა მეტოქე დავჯაბნეთ, გამძლეობაა. ბიჭებს ეტყობოდათ, რომ სამივე შეხვედრა თანაბარ დონეზე (გამძლეობის მხრივ) ჩაატარეს, მაშინ, როცა მეტოქეები მესამე მატჩებში ვერ გამოიყურებოდნენ სათანადო დონეზე.

**— წასვლის წინ ორ რამეზე წუხდით. პირველი — ბიჭებს გაუჭირდებოდათ მაღალმთიან ადგილას თამაში და მეორე — მეტოქეებს შეეძლოთ გადაზრდილები გამოეყვანათ...**

— ერთი, რაც ნამდვილად ვიცი, არის, რომ აზერბაიჯანელებს გადაზრდილი ბავშვები ჰყავდათ. ეს კი ასე დავადგინე — ტურნირზე აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო ჩამოსული, ჰოდა, ერთ საღამოს ჩემთან საუბარში წამოსცდა, ბიჭები ინსტიტუტებში ჩამიჭრეს გამოცდებზეო. გარდა ამისა, რამდენიმე ფეხბურთელს შარშან პორტუგალიაში მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში მიუღიათ მონაწილეობა.

ბერძნებზე უკვე მოგახსენეთ, ასეთი ათლეტური გუნდი არსად მინახავს. არ ვიცი, სად პოულობენ ისინი ამგვარ ხალხს, მაგრამ თუ ყველა თექვსმეტი წლის ბავშვი ასეთია საბერძნეთში, ღმერთმა გაუმარჯოთ, შეიძლება სამედიცინო სამსახური აქვთ მაღალ დონეზე.

რაც შეეხება მაღალმთიან ადგილს, არც ისე მაღლა ვიყავით — 800 მეტრი იყო ზღვის დონიდან, ასე რომ, ამ პრობლემას ბიჭები არ შეუწუხებია.

**— ახლა რას აპირებთ?**

— გეგმები ძალიან დიდი გვაქვს. მომავალი წლის მარტში დალასის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას ვაპირებთ. მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი კლუბი ითამაშებს — „ჩელსი“, „ინტერი“, „აიაქსი“ და სხვები. ფედერაციას დახმარებას ვთხოვთ. აშშ-ში ნაკრების სახელით მივიღებთ მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ საკლუბო ტურნირია. გარდა ამისა, ყოველ წელს ტარდება მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები და, ალბათ, იქაც ვცდით ძალებს...

**პაატა თოთა...**

# ნერვებს ნუ აჰყვებით, თორემ დაისჯებით

გუშინ იამანიძის 5-ში დიდი აჟიოტაჟი იყო. დღის 12 საათზე სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა დაიწყო, რომელიც ულმობელი გამოდგა. დღის წესრიგში, სხვა მცირე სასჯელთა გარდა, ძირითადად ხუთი გუნდის საკითხი იდგა. განსახილველი „მერან“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას მომხდარი ფაქტი და მეორეჯგუფელ — განმუხურის „ენგურის“, გაგრის „დინამოს“, „ჭაბუკიანის“ და ბაღდათის „საირმეს“ მონაწილეობით მომხდარი ინციდენტები იყო.

სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა ბაღდათელ ეხვაიას და „სამგურალი 2“-ის მოთამაშე სანდუხაძეს.

ორ-ორი მატჩით დასაჯეს ივერიელი ჯიკაევი, ეგრისელი ჩხიკვაძე და კასპელი გაბიდაური.

თითო მატჩს გამოტოვებენ სიონელი გოდერძიშვილი კახელი მამუკაშვილი, ხალიბელი ზურაბ მეტრეველი და დილა 2-ელი პაატა გოჩაშვილი, ხოლო ოზურგეთის „მერცხალის“ მწვრთნელ მერაბ ვანიძეს სასტიკი საყვედური გამოეცხადა უკანასკნელი გაფრთხილებით. ასევე საყვედური გამოეცხადათ „ზოოვეტის“ ხელმძღვანელებს. მიზეზი — გუნდში დისციპლინის მოუგვარებლობა.

ახლა კი უფრო ულმობელ სასჯელებზე.

თავდაპირველად მეათე ტურში „მერან“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრაში მომხდარ ინციდენტზე იმსჯელეს.

შეგახსენებთ: „მერან“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის 85-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური რომ ჩააწოდეს, მაისურაძემ ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა, მაგრამ მასპინძელთავე ბალისხმევით იგი ჯერ მეტოქის საჯარიმოში მყოფ ქორიძეს მიუვიდა, მერე კი ივანიშვილს, რომლის დარტყმულიც ვიტელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. მანამდე თანამსაჯმა ნუგზარ რუსიშვილმა თამაშგარე დააფიქსირა, თუმცა იმავ წამს ჩამოუშვა ალამი. ხან ერთი, ხან მეორე მხარის შემოტევით დამფრთხალ რუსიშვილს არაერთხელ მოუხდა გადაწყვეტილების გადათქმა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ამ არეულობაში ვიტელთა მცველმა გიორგი ჭანკოტაძემ მას მუცელში წიხლი უთავაზა.

ჭანკოტაძე მაშინ არც გაუძევებიათ და არც გაუფრთხილებიათ, აი, გუშინ კი მის მიერ ნუგზარ რუსიშვილისთვის მუცელში წიხლის კვრა იყო სადისციპლინო კომიტეტის განხილვის საგანი. სხდომას „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენელთა და მსაჯ-დელეგატთა გარდა იმ მატჩში მასპინძელ მერანელთა მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია და კლუბის ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძეც დაესწრნენ.

სადისციპლინო კომისიამ ხანგრძლივი და საკმაოდ ემოციური სჯა-ბაასის შემდეგ დაგმო გიორგი ჭანკოტაძის საქციელი. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „ვიტ ჯორჯიას“ მცველმა არამარტო საკუთარი თავი, არამედ გუნდიც დაალაქა. ჭანკოტაძე ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, რომელიც ნაკრებში თამაშზეც ვრცელდება.

„ვიტ ჯორჯია“ კი მინუს 3 ქულით დაზარალდა. იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი საქციელს მოინანიებს, თუ გაითვალისწინებენ, რომ იგი ახალგაზრდული ნაკრების წევრია და თუ ამას მერაბ ჟორდანიას შუამდგომლობით ამნისტიაც დაემატება, მაშინ, ალბათ, სასჯელი პირობითი დისკვალიფიკაციით შეეცვლებაო.

გასაკვირი გახლდათ „მერანის“ წარმომადგენელთა საქციელი. ისინი სამი ქულის მინიჭებას ითხოვდნენ, მიზეზად კი ვეტერინართა მხრიდან მსაჯებზე ზემოქმედებას ასახელებდნენ. რაც შეეხება არბიტრ პაატა დოგრაშვილის მიერ ამავე შეხვედრაში უმიზეზოდ გაძევებულ ირაკლი დვალიშვილს, მას წითელი ბარათი გაუუქმეს.

ხულიგნური ქცევისა და მსაჯის შეურაცხყოფისთვის ჭანკოტაძის დარად დაისაჯნენ ჭაბუკიანელები თამაზ პაქსაშვილი და ვალერი შეყილაძე. მათ გუნდსაც სამი ქულა დააკლეს და „ჭაბუკიანის“ სტადიონს, დებულების თანახმად, სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ამის მიზეზი „ჭაბუკიანის“ პრეზიდენტის მიერ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფა...

მინუს 3 ქულას გამოჰკრა ხელი გაგრის „დინამომაც“. მის ფეხბურთელებს ... რცხილაძეს და ჯოლოხავასაც თითო წლით აუკრძალეს თამაში.

სამი ქულა დააკლეს ბაღდათის „საირმესაც“. აქ მიზეზი მაყურებლის მიერ მსაჯზე ფიზიკური ზემოქმედება იყო.

დაისაჯა განმუხურის „ენგურიც“. საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალში არაობიექტური მსაჯობით აღშფოთებულმა განმუხურელებმა მსაჯი შეურაცხყვეს. რადგან „ენგური“ თასის წლევანდელ გათამაშებას უკვე გამოეთიშა, სასჯელს მომავალ სეზონში მოიხდის. დებულების თანახმად, „ენგური“ მოხსნილია მომავალი თასის გათამაშებიდან, ხოლო სტადიონს პირველი წრის ბოლომდე მიეცა დისკვალიფიკაცია.

**გიორგი მაშაძე**

## ვეტერინარებმა ტრანსპორტელთა ხვედრი გაიზიარეს, ჭანკოტაძე ერთი წლით დაისვენებს

# ისევ 18 ნოემბერს

პრაქტიკულად გადაწყვეტილი საქმეა,
ომ 18 ნოემბერს თბილისში, ბორის პა-
ძის ეროვნულ სტადიონზე საქართვე-
ოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს ჩაატა-
ებს ესტონეთის ეროვნულ გუნდთან.
ენების შემადგენლობა ჯერჯერობით
ცნობია, ახლა ვლადიმერ გუცაევზეა
მოკიდებული საამმატჩოდ ლეგიონერე-
აც თუ გამოიძახებს.
შეგახსენებთ, 18 ნოემბერი ქართველ-
ათვის დიდად სადღესასწაულო თარი-
ა — 1964 წელს თბილისის „დინამო“
ირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩე-
მიონი. ეს ამბავი სწორედ 18 ნოემბერს
მოხდა ტაშკენტში.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

# ფედერაცია ცარიელდება

დღეს, საქართველოს ფეხბურთის ფე-
დერაციის აღმასკომის სხდომა საბოლო-
ოდ გადაწყვეტს, როდის დაიხუროს ფე-
დერაციის კარი და როდიდან დაიწყოს
შენობის რემონტი.
როგორც გავიგეთ, სპორტის დეპარტა-
მენტს ფედერაციისთვის თავისი შენობი-
დან 13 ოთახი გამოუყვია, სადაც დროებით
განთავსდებიან ქართული ფეხბურთის
მოხელენი.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

# კენჭისყრის მოლოდინში

საქართველოს თასის მერვედფინალში
ასულ „ლოკომოტივს“, „ოდიშს“, სამ-
ტრედიის „იბერიას“, „სამგურალს“, გო-
რის „დილას“, „ვიტ ჯორჯიას“, „არსე-
ნალს“, „მერანს“, „გორდას“, „სიონს“,
-ს და ბათუმის „კოლეჯს“ წლევა-
ნდელ ევროთასებზე მონაწილე „დინა-
“, „ბათუმი“, „კოლხეთი“ და „ტორპე-
“ დაემატნენ. დაზუსტდა მერვედ-
ფინალის კენჭისყრის თარიღიც. იგი ნო-
ემბრის პირველ დღეს შედგება და 13
საათზე დაიწყება. მერვედფინალური მა-
ტჩების ჩატარების დღეებად 11 და 18
ნოემბერია ნავარაუდევი.
აქვე მეორე ჯგუფის აღმოსავლეთის
ზონაში გადადებულ ორი თამაშის თა-
რიღსაც გაცნობებთ. VIII ტურის მატჩი
„...რეტები“ — „ხალიბი“ 2 ნოემბერსაა
დანიშნული, ხოლო IX ტურში გასამა-
რთი „დინამო 3“ — „ყვარელი“, რომე-
ლიც თექვსმეტწლამდელთა ნაკრების ავ-
სტრიაში, ევროპის შესარჩევ ციკლში
მონაწილეობის გამო გადაიდო (ოთარ
...გელიას ნაკრები იგივე „დინამო 3“-
ა), 24 ნოემბერს ჩატარდება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲫᲔ

# თბილისს სპარტაკი ეწვევა

...რიოდ დღის წინ თბილისს ესტუ-
მრა ცნობილი რუსი კომენტატორის ნი-
კოლაი ოზეროვის ვაჟი, რომელსაც სა-
ქართველოს ვიცე-პრემიერთან, ბატონ ზა-
ლ შენგელიასთან შეხვედრა აქვს დაგე-
გმილი და მოსკოვის „სპარტაკისა“ და
თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა მატჩის
ორგანიზაციო საკითხები გადასაწყვე-
ტი. დიახ, როგორც დაგეგმილია, 8 ნო-
ემბერს თბილისში დიდი სტუმრიანობაა
მოსალოდნელი — რინატ დასაევს, ვაგიზ
ხიდიატულინისა და სხვა ცნობილ სპა-
რტაკელებს რუსი ესტრადის მომღერლე-
ბი ჩამოჰყვებიან თავიანთი შოუ-პროგ-
რამით და ქართველების გახალისებას
ეცდებიან.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

# ბავშვი ნახო, ტყუილს ნუ ეტყვი...

ქართული ფეხბურთის სავალალო მდგომარეობასა და მის მანკიერ მხარეებზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ სამწუხაროდ, იმ ხალხმა, ვინც ფეხბურთს ემსახურება, „წერე და იკითხე“ პოზიცია აირჩია. მრავალჯერ აღვნიშნეთ ჩაწყობილი თამაშების, ტენდენციური მსაჯობის შესახებ. ყველაზე უფრო გულსატკენი კი ისაა, რომ მსგავსი ფაქტები ბავშვთა ფეხბურთშიც ხდება და გამკითხავი აქაც არავინაა.

ამ დღეებში კოკა-კოლას თასის ტრადიციული გათამაშების ფინალი გაიმართა „ოლიმპიკისა“ და „დინამოს“ ნორჩებს შორის. მატჩი „ოლიმპიკის“ გამარჯვებით 2:1 დასრულდა. ტენდენციური მსაჯობით აღშფოთებული რეჟისორი და ჟურნალისტი **ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ** გუშინ რედაქციაში გვესტუმრა და გულისნადები გაგვიზიარა. თუმცა საუბარი ქართული ფეხბურთის ფენომენის შესახებ დავიწყეთ.

— მარტო ჩემთვის კი არა, მთელი საზოგადოებისთვის ეს არის ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი. ფეხბურთი ქართველი კაცისთვის ეროვნულობის წარმოჩენის ერთადერთი საშუალება იყო იმ ავადმოსაგონარ დროში. მაშინ ტრიბუნებზე ჩვენ უფრო მეტად ვგრძნობდით თავისუფლებას. ის იყო ადგილი, სადაც შეგეძლო თავისუფლად გამოგეხატა შენი შინაგანი განწყობილება.

მე ფეხბურთით გავიზარდე. ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვის ფეხბურთი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან მას ყველაზე მეტ დროს ვუთმობთ, ვიდრე სხვა რამეს. ახლა ქართულ ფეხბურთში, ისევე, როგორც ბევრ რამეში ჩვენს ქვეყანაში, გადამწყვეტი მომენტი დადგა. ესაა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ფეხბურთში რაღაც თვისობრივი ცვლილებები მოხდეს. ის არჩევანი, რაც ფედერაციის მეთხე ყრილობაზე გაკეთდა, შემთხვევითი არ ყოფილა, ყოველივე მზადდებოდა ამისთვის. დრომ მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ახალი თაობა მოსულიყო.

მჯერა, ქართული ფეხბურთი საკადრის ადგილს იპოვის მსოფლიოს არენაზე. ამისთვის ყველა მონაცემი გაგვაჩნია — ნიჭი თუ ტრადიცია. ის, რომ ჩვენი ფეხბურთელები ბევრ წამყვან ევროპულ კლუბებში თამაშობენ, შემთხვევითი როდია, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო მეტი შესაძლებლობა ძევს ჩვენს გენში. სამწუხაროდ, ამის გამოვლინება არ ხდება, რაც საქმისადმი არასწორმა დამოკიდებულებამ განაპირობა.

ფეხბურთში არის სუბიექტური, არაპროფესიონალური მიდგომა. ვერ ივიწყებენ ძველ სტერეოტიპებს. არ ხდება დაგეგმილი ნაბიჯებით სიარული. ყოველივე იმპულსურ ხასიათს ატარებს. თუნდაც ძოძუაშვილთან დაკავშირებული ფაქტი გავიხსენოთ. საქართველოში იმისთვის იყო დაპატიჟებული, რომ ეროვნულ ნაკრებს ჩადგომოდა სათავეში, მაგრამ...

მე ვიყავი რიგაში და ვნახე, თუ რა ფიგურაა რეზო ლატვიურ ფეხბურთში. ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან პატივსაცემი და შედეგებიც ბევრზე მეტყველებს. დათო ყიფიანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რაც მაშინ ფედერაციაში მოხდა, ეს იყო უმსგავსოება. უმსგავსოება უმსგავსოებათა შორის.

ჩემმა შვილმა უკვე მიაღწია იმ ასაკს, როცა ადამიანი არჩევანის წინაშე დგება — ფეხბურთის თამაში გააგრძელოს თუ სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ძალიან დიდმა გულშემატკივრულმა გრძნობამ და იმანაც, რომ ჩემი შვილი თამაშობს, ღრმად ჩამახედა ბავშვთა ფეხბურთში. ძალიან ბევრ თამაშს ვუყურე და ვხედავ, რომ მოდის დიდი ტალღა, პოტენციის დიდი ტალღა და არა მოთამაშეების, რადგან მათ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებას კიდევ ბევრი შრომა სჭირდება. იქ სუფევს აბსოლუტური უზნეობა.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— იცით, ყოვლად შეუწყნარებელია, როცა საქმე 13-14 წლის ბავშვებს ეხება და იქ კორუფცია ტრიალებს. ბუნებრივია, ამის ხმამაღლა თქმა ცოტა ძნელია, თუ არა გაქვს დამამტკიცებელი მასალები, მაგრამ თვალი გაქვს, გონება გაქვს, ცოდნა გაქვს, ამას ხომ ხედავ, ამას ხომ გრძნობ. ახლა თუ ვინმე ფიქრობს, ან ეს მსაჯები ფიქრობენ, რომ ყოველივე, როგორც წესი, ძირითადი მასისთვის ძნელად დასანახია, ამაოდ — პროფესიონალი საქმეში დაინახავს, თამაში გაყიდულია თუ არა. სულაც არაა აუცილებელი იმაზე მსჯელობა, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ილებ თუ არა, არამთავარი გადაწყვეტილებებით ისე შემოატრიალებ მატჩის ბედს, როგორც გინდა. ამგვარი განუკითხაობის ტენდენცია კი იმდენად სერიოზულია, რომ უკვე ალარაფერს უყურებენ.

აგერ ახლა იყო კოკა-კოლას თასის ფინალი. ორი ძალიან მნიშვნელოვანი კერა, სადაც დღეს ქართული ფეხბურთის სამჭედლოა. ძალიან დიდ პატივს ვცემ „ოლიმპიკის“ სკოლას, იქ სერიოზული პროცესები მიმდინარეობს. მაგრამ მშობლებისა და უცხო ადამიანების როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს აფერხებს და აფუჭებს ამ ბავშვების მომავალს. მათ აჩვევენ იმას, რომ შეიძლება დაუმსახურებლად გახდე გამარჯვებული. ეს არის ყველაზე სახიფათო. ამ დროს ბავშვის ფსიქოლოგია მახინჯდება, ფუჭდება მიზნისკენ მიმავალი გზისადმი მისი დამოკიდებულება. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ წმინდა სპორტული მონაცემების წყალობით გაიმარჯვებს. ფეხბურთში ისიც ხდება ხოლმე, რომ სუსტი გუნდი ამარცხებს ძლიერს, ჩვენ ეს გვესმის.

ვთქვათ, ამ თამაშის, ამ ფინალის ფაქტორი მთლიანად განპირობებული იყო იმით, რომ „დინამომ“ წააგო. წააგო იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ხოლო როცა ვერ გაგაქვს, თვითონ გაგიტანენ. უაღრესად მედგარი წინააღმდეგობა გასწია, კარგი კოლექტიური თამაში აჩვენა „ოლიმპიკმა“. აი, აქ გამოჩნდა მსაჯობის როლი. ეს იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ არ ვიცი, რა დავარქვა. ის, რაც შილაკაძემ გააკეთა... მე, როგორც ფეხბურთის და ბავშვების გულშემატკივარმა, მას ჩემს გულში განაჩენი გამოვუტანე. ეს იყო თავხედობა. როგორ შეიძლება იმ ზეიმზე წინ, რომელსაც „კოკა-კოლა“ ყოველწლიურად ჩუქნის ბავშვებს თავისი სამახსოვრო პრიზებით, პირადი ინტერესები დააყენო.

ეს გადაწყვეტილება იქვე არ მიმიღია. ხუთჯერ ვნახე ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი სპეციალისტებთან ერთად. თვითონ ფაქტმა გამაოცა. კვლავ ვიმეორებ, რომ იმ თამაშში „ოლიმპიკმა“ მოუგო „დინამოს“, თუმცა ვთვლი, „დინამოს“ უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა. მაინც წააგო, რადგან მომენტები ხელიდან გაუშვა.

მე სხვა დროს ისიც ვნახე, თუ როგორ სჯიან მატჩებს მშობლები. როგორ შეიძლება, პრინციპულ თამაშებში საკუთარ მოედანზე შეხვედრას ამავე გუნდის წარმომადგენელი სჯიდეს?

ეს ფინალი იყო უდიდესი ცენტრალური მოვლენა, რომელსაც უამრავი ადამიანი ესწრებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, როცა აქ ასეთი რამ მოხდება, რა მდგომარეობაა რაიონებში. მატჩის შემდეგ გამოკვლევაც კი ჩავატარე მაყურებელთა შორის და მათ თვალებში ვკითხულობდი გაოცებას — რას შვრებით?

იცით, რაც იქ მოხდა, უფრო იმისთვისაა კარგი გაკვეთილი, ვინც ამით ხეირი ნახა. ისინი უნდა დაფიქრდნენ და გაათვითცნობიერონ, თუ რა ჩაიდინეს.

ვერ წარმომიდგენია, ჩემს შვილს დაუმსახურებლად გამარჯვების მოპოვებაში ხელი გავუმართო. ამის შემდეგ როგორ შევხედო მას თვალებში? როგორ ვიცხოვროთ ერთ ჭერქვეშ?

ვინც მსგავს რამეზე ხელს აწერს, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ამას არ ვაპატიებთ. მე მწვრთნელსაც ვესაუბრე და იმ აზრამდე მივედით, რომ ასეთი წაგებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისეთი მოგება.

ძნელია, ამტკიცო, იყო თუ არა პენალტი ან თამაშგარე. ეს სუბიექტურია. მსაჯიც ადამიანია და შეიძლება შეცდომა დაუშვას, მაგრამ ის, რაც შილაკაძემ და ელიკაშვილმა ჩაიდინეს, არ იყო შეცდომა, ეს იყო ბოროტმოქმედება. ეს დახმარება კი არა, დათვური სამსახურია.

გამაოგნა მათმა თავხედობამ. არც რიდი, არც პატივისცემა, არავითარი ფასეული არ არსებობს მათთვის. როგორ დაბნელებულა ყველაფერი, ესაა საშინელი წყვდიადი.

მწვანე მინდორი, ნორმალური ბუცები, ინვენტარი — ესაა ძირეული ამოცანა ბავშვთა ფეხბურთში, მაგრამ მთავარია, დამკვიდრდეს მართებული სპორტული ზნე. სწორედ აქედან ყალიბდება ფეხბურთელის ფსიქოლოგია. ესაა თავიდათავი ყველაფრისა.

**— ნაკრების ფიასკოზეც გვითხარით...**

— ესეც იქიდან მოდის, რაზეც აქამდე ვილაპარაკე. ეროვნულ ნაკრებში ყველამ დიდი სიამაყით უნდა ილვაწოს. ამის კარგი მაგალითი მოგვცეს ხორვატებმა. ხორვატმა ფეხბურთელებმა შესარჩევი ციკლის დროს ყოველგვარ ჰონორარზე უარი განაცხადეს და საკუთარი ხარჯებით აკეთებდნენ ყოველივეს. შედეგიც ვნახეთ. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში უფრო დამანგრეველი ომი მძვინვარებდა, ვიდრე ხორვატიაში, მაგრამ მათ ეყოთ თავდადება, საკუთარი თავისა და ქვეყნის პატივისცემა. „ჭირსა შიგა გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსა“ — სწორედ ასეთი პრინციპით მიუდგნენ საქმეს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენთან ფეხბურთელების კარგი პლეადაა, მაგრამ ერთი მიზნის გარშემო ვერ გაერთიანებულან. ეს არაა გუნდი, ესაა ცალკეული ფეხბურთელების ნაკრები. ინდივიდუალურად ყველა ძლიერია, თუმცა დამეთანხმებით, ფეხბურთი, პირველ ყოვლისა, გუნდური თამაშია.

გუცაევის იმედი მქონდა, რადგან ის, რაც მისმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსთავში იტალიელებთან გააკეთა პატარა სასწაული იყო. ჩვენებმა გუნდურად მოუგეს უფრო ძლიერ და დიდი ტრადიციის მქონე მეტოქეს.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ვოვა შეძლებდა პირველ ნაკრებშიც მსგავსი ატმოსფეროს დამკვიდრებას, მაგრამ მან, სამწუხაროდ, შანსი ხელიდან გაუშვა. თუმცა მჯერა, ყველაფერი დაკარგული არაა. მე კალათბურთს ვთამაშობდი, ყოფილა შემთხვევები, „ბურევესტნიკს“ ცსკა-სთვის 18-ქულიანი სხვაობა გაუბათილებია. ქართველებს შეგვწევს ამის ძალა.

სამი ან ოთხი თვე უთამაშებელ ფეხბურთელს პელეც რომ ეწეროს მაისურზე, ისიც ვერაფერ სასიკეთოს ვერ გააკეთებს. მესმის, რომ დიდი გუნდის უცებ არ იქმნება. ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ აქეთკენ მიზანმიმართულად უნდა ვიაროთ და არა იმ ფაციფუცით, რომელსაც დღეს ვხედავ. დღეს საფეხბურთო საქართველო არასაფეხბურთო ქვეყნად აქციეს.

**— რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ყველაფრის სათავე ბავშვთა ფეხბურთია. 13-14 წლის ბავშვები სასწაულებს სჩადიან მინდორზე, მაგრამ, სამწუხაროდ, სადღაც იფანტებიან და ქრებიან.

ბავშვთა ლიგა — კარგი იდეაა და მას მხარდაჭერა სჭირდება. ნორჩებმა პროფესიონალური ფეხბურთი უნდა ითამაშონ. პირველად მზერა ბავშვთა სკოლებს უნდა მივაპყროთ. მინდა კიდევ ერთ სამარცხვინო ფაქტზე გელაპარაკოთ.

ორთაჭალაში, ავტოსადგურის პირდაპირ, ეგრეთ წოდებულ „ხეივნის მინდორზე“ კლუბ „კავკასიონის“ 80 ბავშვი ვარჯიშობს. იქაურმა ახირებულმა მაცხოვრებლებმა მოედნის საძოვრად გამოყენება მოინდომეს და მინდორზე ძროხები შეუშვეს. განგაშს არავინ ტეხს. მე ვიყავი კრწანისის რაიონის გამგეობაში და მკაცრად დავაყენე ეს საკითხი. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ფეხბურთისადმი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერაზე. მთავრობისაგან მილიონებს არავინ ითხოვს, მაგრამ ასეთი ელემენტარული საკითხები ხომ უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფომ. როგორ შეიძლება, 4 ძროხაში გაიცვალოს 80 ბავშვი.

მე გთხოვთ, „სარბიელის“ სახელით ეს საკითხი სამთავრობო დონეზე დავაყენოთ და გავაკონტროლოთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ჩვენს პროტესტს.

**— ფედერაციაში ახალი ხალხი მოვიდა.**

— ამ ფაქტს მივესალმები. სფფ-ში ახალი ათვლა იწყება. ჩემი აზრით, ჟურნალისტებმა სამეთვალყურეო საბჭო უნდა ჩამოვაყალიბოთ და ახალ ხელმძღვანელობას თანამშრომლობა შევთავაზოთ. მათ უნდა სჯეროდეთ, რომ ჩვენ მართლაც მეოთხე ხელისუფლება ვართ და შეიძლება ჩვენზე დაყრდნობა.

კრიტიკა კარგია, მაგრამ ეს ფარულად არ უნდა ხდებოდეს, გულისტკივილი უნდა იგრძნობოდეს იმ საქმის მიმართ, რომელსაც ემსახურები.

თუ არ იქნება კორუფციის ელემენტები, ჩაწყობილი თამაშები, უყურადღებობა ბავშვთა ფეხბურთის მიმართ, თუ სამართლიანობას დავინახავთ, მაშინ ფედერაციას მხარში უნდა ამოვუდგეთ.

მე ყრილობასაც ვესწრებოდი და მომეწონა მერაბ ჟორდანიას ტონალობა. თუნდაც ის ფაქტი, რომ გამარჯვების შემდეგ ყველა სუფრასთან მიიპატიჟა. ქართული სუფრა ხომ აკადემიაა, სწორედ იქ ყალიბდება ურთიერთობები.

სფფ-ში რადიკალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს. მხოლოდ კარგი ბიჭობის გამო სამსახურში დატოვება არ შეიძლება. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი დიდი მადრიდის „რეალში“ ძირითადში ვერ ხვდებოდა, რადგან იქ მისი შემცვლელი უკეთ ირჯებოდა, არადა, ბრაზილიის ნაკრებში ბრწყინავდა. ახალმა ხელმძღვანელმა ახალი გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს და ეს ნორმალურია. აქ საწყენი არაფერია.

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲫᲔ



# შინ უფრო კარგია

ბრაიან ლაუდრუპს „ჩელსის“ დატოვება სურდა. დანიელმა ფეხბურთელმა კარიერის დასრულება „კოპენჰაგენში“ მოიწადინა:

— არის გარკვეული პრობლემები, რომელთა გამო ლონდონში ვერ ვჩერდები. შეგიძლიათ, ამაში ჩემ და კლუბს შორის უსიამოვნება იგულისხმოთ, გნებავთ, ჩემი ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ რაც უნდა იყოს მე ვიგრძენი ნოსტალგია. ათი წელია სამშობლოდან წამოსული ვარ. საზღვარგარეთ ამდენ ხანს ყოფნა მე აღარ შემიძლია, შინ დაბრუნება ძალიან, ძალიან მინდა — განაცხადა 29 წლის ფეხბურთელმა გუშინწინ, ოთხშაბათს.

ბოლო დროს ბრაიანისა და „ჩელსის“ ურთიერთობა დაიძაბა. ფეხბურთელი არც მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის კრიტიკას მოერიდა. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კი განაცხადა, რომ მცოდნოდა, მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ვიჯდებოდი, ამ გუნდში სულ არ გადავბარგდებოდიო.

მიზეზი მხოლოდ კლუბთან გაუარესებული დამოკიდებულება არ არის. ბრაიანის მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ლონდონში ცხოვრებას ვერ შეეგუა, გლაზგოში გატარებული ოთხი წლის შემდეგ მათ ინგლისის დედაქალაქში ყოფნა არ ისურვეს.

დანიის ტელევიზიის TV2-ის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ბრიან ლაუდრუპი მალე აპირებს კარიერის დასრულებას, იგი ქვეყნის ნაკრებიდანაც წავიდა ოჯახთან დიდხანს ყოფნის მიზნით.

— ფეხბურთში ყველაფერი ვნახე, ბრწყინვალე გამარჯვებებიც მქონია და დამარცხების სიმწარეც განმიცდია. ახლა ვეცდები, ფეხბურთიდან თავისუფალი დრო ოჯახს დავუთმო. ბავშვები წამოიზარდნენ, მიხედვა სჭირდებათ — თქვა ბრაიანმა.

შეიტყო რა ფეხბურთელის განცხადება კლებიდან „კოპენჰაგენში“ გადასვლის თაობაზე, ლონდონის „ჩელსიმ“ გუშინ სახელდახელო პრესკონფერენცია მოაწყო, რომლეზეც მხოლოდ და მხოლოდ ბრიან ლაუდრუპის მომავალ ბედზე ისაუბრეს.

ევროპის 1992 წლის ჩემპიონმა იგივე გაიმეორა — შინ, დანიაში ბურთის გორება მწადიაო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა იქვე ოფიციალურად განაცხადეს, რომ ლაუდრუპი არათუ ამ სეზონის დასრულებამდე ვერსად წავა, გუნდთან კონტრაქტის ბოლომდე დარჩება.

— დღესდღეობით ბრიან ლაუდრუპი კლუბის მოთამაშედ რჩება. მან გამოთქვა სურვილი კარიერის „კოპენჰაგენში“ დასრულების თაობაზე. მის ნება-სურვილს წინ ვერავინ აღუდგება, მაგრამ აქვე ისიც მინდა განვაცხადო, რომ სანამ „ჩელსისთან“ მას კონტრაქტი აკავშირებს, იგი ვერსად წავა — განუცხადა ჟურნალისტებს თასების მფლობელთა თასის მფლობელი და ევროპის სუპერთასის გამარჯვებული „ჩელსის“ გენერალურმა მენეჯერმა სოლინ ატკინსონმა.

რა როგორ იქნება, ამას დრო დაგვანახებს, ისე კი, თუ მოხდა და უფროსი ძმის დარად, ბრიანმაც მალე დაანება თავი ფეხბურთს, დანია კი მეორე გენიოსსაც დაკარგავს.

**ირაკლი ილაშვილი**



სარბიელის არქივიდან

ბრიან და მიქაელ ლაუდრუპები — უფროსი (მარჯვნივ) უკვე შეეშვა ფეხბურთს, უმცროსსაც იგივე გადაუწყვეტია



სარბიელის არქივიდან

*ამას რა ცნობა უნდა! — ეს ხომ პოლ გესქოინია!*

*რამდენიმე დღის წინ ჭკუამხიარული ინგლისელი ფეხბურთელი საავადმყოფოდან გამოეწერა, სადაც ორი კვირის განმავლობაში, ალკოჰოლიზმისგან დაავადებულმა შედეგიანად იმკურნალა.*

*პირველსავე პრესკონფერენციაზე გაზამ განაცხადა ახლა ფეხბურთს სერიოზულად მოვკიდებ ხელსო.*

*ასეთი დაპირებები გესქოინისგან ადრეც გვსმენია. შედეგად არც არაფერი. საინტერესოა ახლა როგორ იქნება.*

## ავსტრია

მე-14 ტური. შტურმი — ზალცბურგი 2:0; ტიროლი — გრაცერი 1:1; შტაირი — რიდი 0:3; აუსტრია — ლუსტენაუ 1:1; ლინცერი — რაპიდი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 14 | 10 | 1 | 3 | 27:10 | 31 |
| გრაცერი | 14 | 9 | 3 | 2 | 21:8 | 30 |
| ლინცერი | 14 | 9 | 2 | 3 | 27:15 | 29 |
| რაპიდი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:10 | 25 |
| აუსტრია | 14 | 5 | 4 | 5 | 16:18 | 19 |
| ტიროლი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:18 | 17 |
| ზალცბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 19:23 | 14 |
| რიდი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:18 | 12 |
| ლუსტენაუ | 14 | 1 | 5 | 8 | 11:29 | 8 |
| შტაირი | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 2 |

# ვისი ფსონი გსურს?

მალე მსოფლიოში ცნობილი ბუქმექერის უილიამ ჰილის ორგანიზაცია 60 წლისა გახდება. ეს ჩანახატისმაგვარი პატარა წერილი სწორედ მოხუცი ბრიტანელის იმპერიას ეძღვნება.

საუკუნის დასაწყისში, 1934 წელს ლონდონში ბევრისთვის უცნობმა ბიჭმა უილიამ ჰილმა ერთგვარი ახალი გასართობი შესთავაზა ფეხბურთის გულშემატკივრებს — ხალხს ფეხბურთთან ერთად მცირე თანხით გამდიდრების საშუალებაც მიეცათ, თუმცა ჰილის ინდუსტრია ისე იყო მოწყობილი, რომ იოლად ვერაფერს იშოვიდი, ყველაფერი თავად ხალხის გამჭრიახობასა და მიხვედრილობაზე იყო დამოკიდებული.

ნელ-ნელა ჰილის წამოწყებამ ფრთები გაშალა, თავად უილიამმაც საგრძნობი კაპიტალი დააგროვა და მონოპოლიის ხელში ჩაგდების მიზნით მსგავსი ტოტალიზატორები ჯერ ლონდონის, შემდეგ ინგლისის, სულ ბოლოს კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გახსნა. დღესდღეობით ბრიტანეთსა და მთელს მსოფლიოში უილიამ ჰილის ორგანიზაციის ლიცენზირებული წარმომადგენლობები 1500-მდეა, ხოლო მათი წლიური ბრუნვა 1,6 მილიარდი დოლარია.

თავდაპირველად უილიამ ჰილის ტოტალიზატორები მხოლოდ ფეხბურთსა და ცხენოსნობაზე იყო სპეციალიზირებული, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა ორგანიზაციებმა სპორტის სხვა სახეობებიც „აითვისეს“. დღესდღეობით უილიამ ჰილის დაარსებულ ტოტალიზატორებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ფეხბურთის და ცხენოსნობის გარდა, ბილიარდი და გოლფი.

რამდენიმე წლის წინ უილიამ ჰილის ტოტალიზატორებში თამაში ძირითადად მხოლოდ ბრიტანელთათვის იყო ხელმისაწვდომი, ასევე იმ ქალაქის მოსახლეობისთვის სადაც გახსნილი იყო ჰილის ინდუსტრიის წარმომადგენლობები. ბოლო წლებში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა და ულტრათანამედროვე სახე მიიღო — ახლა კონკრეტულად ლონდონში თამაში მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდანაა შესაძლებელი ფაქსის, ელექტრონული ფოსტის და საერთაშორისო კომპიუტერული ქსელის — ინტერნეტის საშუალებით. ცხადია, სხვადასხვა საკრედიტო ბარათების გამოყენებით.



სარბიელის არქივიდან

ისტორიული ფოტო: უილიამ ჰილი და ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ II

ისე, თავის დროზე უილიამ ჰილის ტოტალიზატორისთვის ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეტ II-საც მიუკითხავს. ეს 1966 წელს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისას მოხდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ჟან-პიერ პაპენმა განაცხადა, რომ შესაძლოა კარიერა დაასრულოს. მას ამ ბოლო დროს „გინგამის“ მწვრთნელ ფრანსის სმერესკისთან ურთიერთობა გაუფუჭდა და ფეხბურთიდან წასვლაც ამიტომ იფიქრა. პაპენის აგენტი ფეხბურთელისთვის ახალ კლუბს კი ეძებს, მაგრამ სავარაუდოდ ქვეყნის ნაკრებში 54-ჯერ ნათამაშევი ჟან-პიერი, რომელიც 1991 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. აქტიურ სპორტს თავს დაანებებს. მარსელის „ოლიმპიკის“, „მილანის“, მიუნხენის „ბაიერნის“ და „ბორდოს“ ექსთავდამსხმელმა ისიც თქვა, ზაფხულში მარსელში საქველმოქმედო მატჩის გამართვა მწადიაო. შეგახსენებთ, რომ პაპენი მარსელში ექვსი წლის განმავლობაში თამაშობდა.

**ბრაზილიელი** ზე ელიასი, მილანის „ინტერის“ ღირსებას რომ იცავს, სულ მცირე ერთი თვე ვეღარ ითამაშებს. ფეხბურთს ორი კვირით ჩამოშორდება ზე ელიასის ურუგვაელი თანაკლუბელი ალვარო რეკობაც. თასის მერვედფინალის პირველი შეხვედრა ქვედალიგელ „პასტელ დი სანგროსთან“ მილანელებისთვის უიღბლო გამოდგა — მეტოქეც ძლივს დაამარცხეს 1:0 და ორი მოთამაშეც დაკარგეს. „ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენ ხანში მომჯობინდება ზე ელიასი, მაგრამ ფაქტია, რომ მინიმუმ სამი კვირა ვერ ითამაშებს“ — განაცხადა კლუბის ექიმმა რომანო დუპილამ. ბრაზილიელმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატში არ მონაწილეობდა, მარჯვენა მუხლი დაიზიანა. იმავე ექიმის თქმით, რეკობას მარცხენა კოჭის ტრავმა მკურნალობას უფრო ადვილად ექვემდებარება. სხვათა შორის, ერთადერთი გოლი მილანელმა მას შემდეგ გაიტანა, რაც ურუგვაელი შეცვალეს — მის ნაცვლად თამაშში ჩართულმა ნიკოლა ვენტოლამ იხეირა.

**პარაგვაელმა** მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა პენალტი ვერ გაიტანა! თითქოს მეკარეს რატომ უნდა გაეტანა, მაგრამ შილავერტი ხომ თერთმეტმეტრიანი დარტყმების ოსტატადაა ცნობილი. „კოპა მერკოსური“ გათამაშების მეოთხედფინალში არგენტინული „ველეს სარსფილდის“ და პარაგვაის „ოლიმპიკის“ შეხვედრისას შილავერტმა მეორე წუთზე პენალტი ძელს მოარტყა, მერე კი ოთხი გოლი გაუშვა და არგენტინული კლუბი მინიმალური მარცხისგან იხსნა — 3:4 სტუმართა სასარგებლოდ.

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში დამნაშავე ფეხბურთელებს სასჯელები ჩამოურიგა. „მილან“ — „რომას“ შეხვედრაში უხამსობისთვის გაძევებული დანიელე კონტი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ბრუნო კონტის ვაჟი, მომდევნო სამ ტურში ვერ ითამაშებს, რადგან მილანელთა გერმანელ თავდამსხმელ ოლივერ ბირჰოფს სახეში იდაყვი უთავაზა. დაჯარიმდა „მილანიც“ — კლუბი 43 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს ქომაგთა უსაქციელობის გამო. ერთ შეხვედრას გამოტოვებს „იუვენტუსის“ გამთამაშებელი, მილანის „ინტერთან“ მატჩში გაძევებული ზინედინ ზიდანი, ხოლო მისი ჰოლანდიელი თანაკლუბელი ედგარ დავიდსი ორი თამაშით დაისვენებს.

**ინგლისის** მესამე დივიზიონის მაჩანჩალა კლუბის „ჩესტერ სიტის“ ქომაგებმა საყვარელი გუნდის გადასარჩენად მახვილგონივრულ ხერხს მიმართეს — ისინი ჩაატარებენ საქველმოქმედო მატჩს, რომელშიც იასპარეზებენ ერთ დროს კლუბში ნათამაშევი, შემდგომში კი სახელოვანი ფეხბურთელები, მათ შორის იან რაში, ლი დიქსონი და მაიკლ ოუენი. ამ უკანასკნელის მამამ, რომელიც 1972-76 წლებში თავად გახლდათ „ჩესტერ სიტის“ მოთამაშე და 141 სალიგო მატჩში 40 ბურთის შეგდებაც მოახერხა, განაცხადა, მისასალმებელი ნაბიჯია, ჩემი შვილი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ამ შეხვედრაშიო.

**კონგოს** საინფორმაციო სააგენტოს CONS-ის ცნობით, ერთ-ერთი მატჩისას დენის კაბელის აფეთქების გამო 11 ფეხბურთელი გარდაიცვალა და 30 მოთამაშე დაშავდა. ერთმანეთს „ბენა ტშადი“ და „ბასანგანა“ ხვდებოდნენ. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა ანგარიში 1:1 იყო.

**აშშ-ს** მეიჯორ სოკერ ლიგის კლუბ „ნიუ ინინგლედ რევოლუშენის“ განცხადებით, 1994 წლიდან გუნდს იტალიელი ვალტერ ძენგა გაწვრთნის, მილანის „ინტერის“ და გენუას „სამპდორიას“ ყოფილი მეკარე, რომელმაც იტალიის ნაკრებში ნათამაშევ 58 მატჩში 38-ჯერ შეინახა კარი მშრალად. ფეხბურთში დაებიუტანტი არ გახლავთ — იგი უკვე ორი წელია, „ნიუ ინგლენდ რევოლუშენის“ ღირსებას იცავს. გასულ წელს იგი მეჯორ სოკერ ლიგას საუკეთესო მეკარედ და ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარეს. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ძენგამ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბმა „ბლექბერნ როვერსმა“ უარყო ხმები, თითქოსდა თავდამსხმელ კრის სატნოს გასხვისებას აპირებს. ქვეყნის 1995 წლის ჩემპიონი მალე „ქოვენთრისგან“ 10,5 მილიონ დოლარად დიონ დაბლინს შეიძენს, სატონის გაყიდვის შესახებ ჭორებიც სწორედ ამიტომ დაირხა. ბლექბერნელთა დირექტორმა, ჯონ უილიამსმა განაცხადა, მართალია, დაბლინს კი ვყიდულობთ, მაგრამ სამაგიეროდ, სატონს სულაც არ ვუშვებთ, მწვრთნელთა აზრი ასეთია, თავდამსხმელები კლუბს ძალიან გამოადგებიანო. „როი ჰოჯსონს ვესაუბრეთ და მან ორივე მოთამაშის გუნდში ყოლა ირჩია. ჩვენ ვფიქრობთ, ორი მაღალი კლასის თავდამსხმელი ერთ ძლიერ ფორვარდს სჯობია“ — განაცხადა უილიამსმა.

**ბელგიის** პირველი დივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერის, „ოსტენდის“ მწვრთნელად წარსულში ცნობილი მეკარე, ჟან მარი პფაფი დაინიშნა. „ოსტენდმა“ 11 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ახლა ბოლოდან მეორე ადგილზეა. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი ჰოლანდიელი დენის ვან ვიკის გათავისუფლებისა. წარსულში სახელოვანმა მეკარემ, 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე პფაფმა, რომელსაც აქამდე არასდროს გაეწვრთნა პირველი დივიზიონის კლუბი, განაცხადა, არაფრის მეშინია. მოგეხსენებათ, რომ პფაფი დიდ ფეხბურთს 1987 წელს შეეშვა. მანამდე კი მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებასაც იცავდა.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბმა „ბრისტოლ სიტიმ“ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც კლუბის მწვრთნელად დაინიშნა შვედი ბენი ლენარტსონი. „დღეიდან სეზონის ბოლომდე გუნდს ბენი ლენარტსონი უთავკაცებს. კონტრაქტი უკვე გაფორმდა, მალე იგი მუშაობასაც შეუდგება“ — განაცხადა „ბრისტოლ სიტის“ წარმომადგენელმა დეივ სორმეტმა. ცნობისთვის — ბენი ლენარტსონი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისას ქვეყნის ნაკრების ტექნიკური დირექტორი გახლდათ. „ბრისტოლ სიტის“ ახლა უკვე ექსმწვრთნელი ჯონ უორდი სამშაბათს გადადგა.

**იუგოსლაველი** ნახევარმცველი ველიკო პაუნოვიჩი, სულ მცირე ექვსი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს. ესპანეთის „მალიორკას“ მოთამაშემ ტრავმა ბოლო ტურში, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ 4:0 მოგებულ თამაშში მიიღო. შეგახსენებთ, რომ 21 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი „მალიორკამდე“ „ატლეტიკოშიც“ თამაშობდა.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციაში გუშინ შედგა ლიგის თასის გათამაშების მეოთხე წრის კენჭისყრა, რომელმაც შემდეგი შედეგები მოიტანა: „ლესტერი“ — „ლიდს იუნაიტედი“, „ლივერპული“ — „ნოტინგემ ფორესტი“, „ლუტონი“ — „ბარნსლი“, „არსენალი“ — „ჩელსი“, „ევერტონი“ — „სანდერლენდი“, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ბლექბერნ როვერსი“, „ბოლტონ უონდერერსი“ — „უიმბლდონი“. შეხვედრები 9 ნოემბრისთვისაა დაგეგმილი.

# რომარიომ კარი კვლავ ვერ გააღო



იყო დრო, რომარიო ფარიასი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ ეროვნულ დროშას აფრიალებდა...

რომარიო კვლავ ვერ მოხვდა ბრაზილიის ნაკრებში. აგერ უკვე რამდენიმე თვეა, 994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირს ეროვნული გუნდის ყვითელი მაისური ლარ მოურგია.

ყველაფერი საფრანგეთი 98-მდე დაიწყო, როდესაც გამოცდილმა, პლანეტის ერთ-ერთმა ყველაზე ტექნიკურმა ფორვარდმა ფეხის ტრავმა მიიღო. ამის გამო ბრაზილიელთა აწ უკვე ყოფილმა დამრიგებელმა მარიო ზაგალომ იგი სამსოფლიოსჩემპიონატო 22-კაციან განაცხადში არ შეიყვანა და მის მაგივრად საფრანგეთში ასევე გამოცდილი, მაგრამ გაცილებით დაბალი დონის ფეხბურთელი ბებეტო წაიყვანა. არადა, მაშინ ხმები დაირხა, რომარიო გამოჯანმრთელებულია, უბრალოდ, მარიო ლობომ და მისმა მარჯვენა ხელმა ზიკომ მისი მსოფლიოს პირველობაზე წაყვანა არ ისურვესო. ხალხი (ძირითადად ბრაზილიელები) იმასაც ამბობდა, ამის მიზეზი ზიკოს და რომარიოს შორის მომხდარი კონფლიქტი და კიდევ ის არის, რომ ბებეტოს ახალშეძენილი ვაჟი, სახელად მათეუსი, ზაგალომ მონათლა, აბა, თავის ნათესავს ხომ არ დატოვებდა დიდი ფეხბურთის გარეშეო.

ფეხბურთის სპეციალისტთა აზრით, რომარიოს სამშობლოში დატოვებას ნაკრებისადმი მისმა გულგრილმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი — სვამდა, ვარჯიშებს აცდენდა, ლამაზმანებს ზედმეტ დროს უთმობდა და შესაბამისად, იდეალურ სპორტულ ფორმაშიც ნამდვილად არ იყო. და მაინც, რომარიოს თუნდაც სათადარიგო მოთამაშედ წაუყვანლობა ყველამ არასწორ გადაწყვეტილებად ჩათვალა. ასეც არის — ჯერ ერთი, ამხელა გამოცდილებისა და ტექნიკის მქონე კაცი ნაკრებს მიღმა არ უნდა დატოვო, თანაც როცა მსოფლიოს ჩემპიონატზეა საუბარი, მერე, რომარიოსა და რონალდოს დუეტი, მაშინაც კი, მოედანზე ვერაფერს რომ ვერ ქმნიდა (ასე კი თითქმის არასდროს მომხდარა), მეტოქეს შიშის ზარს სცემდა და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი — ბებეტოს, რომლის თამაშიც ბოლომდე გაშიფრულია და რომელიც მოწინააღმდეგის საჯარიმოში სახარბიელოს ველარაფერს ქმნის, თუნდაც ცუდ ფორმაში მყოფი რომარიო მაინც ჯობს.

ასეა თუ ისე, უკანასკნელი მალანდრო საფრანგეთში არ წაიყვანეს. რაც მოიგო ამით ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა, რომელსაც ივნის-ივლისში სწორედ ლიდერი აკლდა, ყველამ კარგად დაინახა.

საფრანგეთი 98-ის შემდეგ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები ასევე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა მარიო ზაგალომ დატოვა. იგი, რომარიოსთვის სამწუხაროდ, ახალგაზრდა ვანდერლეი ლუქსემბურგომ შეცვალა, კაცმა, რომელიც ადრე „ფლამენგოს" ედგა სათავეში. მაშინ „ფლამენგოს" შეტევებს რომარიო ქმნიდა და აგვირგვინებდა და ამიტომაც გუნდში საკმაოდ ძვირად ფასობდა, თუმცა პრინციპულობით განთქმული ლუქსემბურგო ჭირვეული ფეხბურთელის უდისციპლინობას ვერ შეეგუა და კონფლიქტმაც არ დააყოვნა — რომარიოს გუნდის დატოვება მოუხდა.

ლუქსემბურგოს ნაკრების სათავეში მისვლაც ამიტომ იყო ფეხბურთელისთვის სამწუხარო — რომარიოსთვის გუნდის კარი კვლავ დაიხურა. ერთადერთი, რითაც მას ამ კარის გაღება შეეძლო, თავდაუზოგავი ვარჯიში და სანიმუშო ქცევა იყო. რომარიოც შეიცვალა — დისციპლინას აღარ არღვევს, ვარჯიშებზეც ბოლომდე იხარჯება და შედეგიც სახეზეა: ვეტერანი ფორვარდი ბრაზილიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ჯერჯერობით მესამეა 14 გატანილი გოლით, რომელთაგან სამი მან ბოლო ტურში „ვიტორიას" გაუტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კარგ ფორმაშია. თუმცა...

18 ნოემბერს ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ფორტალეზაში ქვეყნის ეროვნული გუნდი რუსეთის ნაკრებს უმასპინძლებს. გუშინ ბრაზილიელთა თავკაცმა ამ მატჩისთვის მოსამზადებელ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომელშიც ბევრი უცნობი მოთამაშე მოხვდა, მაგრამ რომარიო ფარიასისთვის იქ ადგილი ვერ გამოინახა, იგი ამ განაცხადში არ არის.

სამაგიეროდ, რუსებთან საბურთაოდ ლუქსემბურგომ „უდინეზეში" მოთამაშე, სერია A-ს ბომბარდირობისთვის მებრძოლთა მარაქაში გარეული ამოროზო გამოიძახა, ვისაც ამ სეზონში უკვე ექვსი გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ სახელოვან არგენტინელს გაბრიელ ბატისტუტას ჩამორჩება. იგი ბრაზილიის ნაკრების ღირსებას მეორედ დაიცავს, პირველად ეს 1995 წელს მოხდა ჰონდურასთან ფრედ 1:1 ნათამაშევ შეხვედრაში.



– ახლა კი ბრაზილიელი მწვრთნელების მისდამი უყურადღებობამ პატარა ტორსედორებიც გააკვირვა

სავარაუდოდ, ამოროზოს ძირითად შემადგენლობაში შედარებით გამოცდილი ჯოვანი ელბერი შეეწყვილება. მიუნხენის „ბაიერნის" მთავარ შემტევ ძალას ნაკრებში ხუთი მატჩი აქვს გამართული. ბოლო შეხვედრაში ელბერმა ეკვადორელებს სამჯერ დააწყებინა თამაში ცენტრიდან, ბუნდესლიგაშიც არ უკლებს და ლუქსემბურგომაც რუსთა დაცვის ასაწიოკებლად დაუყოვნებლივ უხმო.

თავდასხმაში ბრაზილიელებს კიდევ სამი ფეხბურთელი ეყოლებათ — მსოფლიოს უძვირფასესი მოთამაშე დენილსონი, რომლის „ბეტისიც" ღლეისთვის ესპანეთის ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა, „ინტერნასიონალში" მოთამაშე კრისტიანი და „კრუზეიროს" ფორვარდი ფაბიო ჟუნიორი.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა რიგებში 18 ნოემბერს შეიძლება ორი დებიუტანტი ვიხილოთ, ორივე მცველი — ფლავიო „კორიტიბადან" და ჟანი „სანტოსიდან". ლუქსემბურგომ კვლავ მისცა დასვენების საშუალება გუნდის რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს: რონალდოს, ლეონარდოს, ჟუნინიოს, ალდაირს, ჟუნიორ ბაიანოს და რობერტო კარლოსს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა ერთი თვის წინ განაცხადა, ლუქსემბურგოსთან კარგი ურთიერთობა არ მაქვს და მისი ხელმძღვანელობით ნაკრებში არაფრისდიდებით არ ვითამაშებო.

რაც შეეხება „კორინთიანსის" კაპიტან მარსელინიოს, რომელმაც ლუქსემბურგოს თავკაცობით ჩატარებულ ორ ამხანაგურ მატჩში ორჯერვე ისახელა თავი და გოლი გაიტანა, ამჯერად იგი ნაკრებს მიღმა დარჩა. მიზეზი — „კორინთიანსის" უფროსობამ ვანდერლეის აცნობა, ეს ბიჭი ბოლო დროს უდისციპლინოდ იქცევაო. თუ როგორ სძულს ლუქსემბურგოს ფეხბურთელთა მიერ რეჟიმის დარღვევა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ, ჰოდა, მარსელინიოც 18 ნოემბრის შეხვედრას ტელევიზორში, ანაც უკეთეს შემთხვევაში ტრიბუნიდან იხილავს.

— მე ყოველთვის ოთხი მთავარი პრინციპით ვხელმძღვანელობ, რომელთა გარეშე, ვფიქრობ, საქმე არ გაკეთდება. ეს არის ერთსულოვნება, დისციპლინა, თავდაუზოგავი შრომა და პროფესიონალიზმი. თუ მომავალში მარსელინიო ოთხივეს დააკმაყოფილებს, მაშინ არანაირი პრობლემა არ იქნება — ბრაზილიელთა მწვრთნელის სატელევიზიო გამოსვლა, როგორც ყოველთვის, კატეგორიული იყო.

თავის მხრივ, ფეხბურთელი იმედს არ კარგავს და პოპულარულ „ჟურნალ დუ ბრაზილში" ამბობს, დარწმუნებული ვარ, ჩემი მომავალი სანაკრებო კარიერა ბრწყინვალე იქნებაო.

რა და როგორ იქნება, ეს ლუქსემბურგომ იცის ყველაზე კარგად, ახლა კი დროა, იმ ფეხბურთელთა სიას გავეცნოთ, რომლებიც 18 ნოემბერს რუსებს უნდა დაუხვდნენ.

მეკარეები: როჯერიო კენი (სან პაულუ), დიდა (კრუზეირო)

მცველები: სერჟინიო (სან პაულუ), ოდვანი (ვასკო და გამა), კაფუ (რომა, იტალია), სეზარი (პორტუგეზა), ჟანი (სანტოსი), ფლავიო (კორიტიბა), ფელიპე (ვასკო და გამა).

ნახევარმცველები: ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო ლა კორუნია, ესპანეთი), მარკოს ასუნსაო (ფლამენგო), ალექსი (პალმეირასი), ნარსისო (სანტოსი), ვამპეტა (კორინთიანსი), როჯერიო (პალმეირასი), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), ჯექსონი (სპორტ რესიფე)

თავდამსხმელები: ამოროზო (უდინეზე, იტალია), კრისტიანი (ინტერნასიონალი), ელბერი (ბაიერნი, გერმანია), ფაბიო ჟუნიორი (კრუზეირო), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი)

**დავით ძოწზირიძე**

# მილანის ორი ფეხი

ორიოდ დღის წინ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის განცხადებამ ქალაქის მერია ააფორიაქა — თუ კლუბი გარკვეულ უფლებას არ მიიღებს, „სან სიროს" დატოვებს.

იტალიაში საფეხბურთო სტადიონები ადგილობრივი გამგებლების საკუთრებაა და თამაშის დღეებში ისინი კლუბებს ქირის სახით ეძლევა. გარდა ამისა, სტადიონის მფლობელი ორგანიზაციები თუ დაწესებულებები, გაყიდული ბილეთებიდან კიდევ ალაც გარკვეულ წილს ითხოვენ. „მილანს", როგორც ჩანს, ასეთი ურთიერთობა ხელს არ აძლევს. ქალაქის თავკაცებისთვის ყველაზე ცუდი ისაა, რომ „მილანს" თანაქალაქელი „ინტერიც" უჭერს მხარს.

— გადმოგვეცით „სან სიროს" საკონტროლო პაკეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სტადიონს დავტოვებთ. ჩვენი და სტადიონის კონტრაქტის დარს, დღესდღეობით ევროპაში ვერსად იპოვით. კლუბი ამით ბევრს, ძალიან ბევრს კარგავს, დღეს კი ასეთი რამ დაუშვებელია. გადმოგვეცენ სტადიონის საკონტროლო პაკეტი 50 ან 0 წლით და პრობლემებიც მოგვარდება. თუ არაფერი გამოვიდა, 2000 წლამდე შევრჩებით „სან სიროს", მანამდე კი საკუთარი სახსრებით სტადიონის აშენებასაც მოვასწრებთ. ჩვენს აზრს „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატიც ეთანხმება — განუცხადა გალიანიმ „გაძეტა დელო სპორტს".

ინგლისში, მაგალითად, რამდენიმე კლუბმა დაიქვემდებარა სტადიონი. „ოლდ ტრეფორდი" „მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებად იქცა, ამის წყალობით კი კლუბმა ძალიან იხეირა — სტადიონის ტერიტორიაზე რესტორნები, საპრესკონფერენციო დარბაზები და სხვა ამ ტიპის შენობები ააგო, მათი გაქირავებით კი გვარიან თანხას შოულობს.

— დროა, „მილანი" საკუთარ ფეხებზე დადგეს. სტადიონის თაობაზე უკვე განვაცხადეთ. ჩვენ იმ საშინაო შეხვედრების ტელეტრანსლაციების უფლებების გაყიდვასაც ვაპირებთ, დღემდე თავად რომ გვქონდა. ამ ნაბიჯით „მილანი" გაცილებით მეტ მოგებას ნახავს, ვიდრე აქამდე. ჩვენი გამოთვლებით, შარშან კლუბს სულ თავისუფლად შეეძლო, კიდევ 78 მილიონი დოლარი მიეთვალა, შესაძლებლობები ბოლომდე რომ გამოეყენებინა — ესეც ამავე გალიანის სიტყვებია.

მთავარი კი მაინც „სან სიროს" ბედია. თუ მერია დათმობაზე არ წავიდა, მილანელი გიგანტები ცოტა ხნით დარჩებიან ძველ სარბიელზე, მერე კი, როგორც თქვეს, საკუთარ საზიარო სტადიონსაც ააგებენ და ბატონ-პატრონებიც თავად იქნებიან. მით უმეტეს, სტადიონის ასაგები ფულის შოვნა არ გაუჭირდებათ.



„სან-სირო" იღბლიანი სტადიონია — მასზე „მილანი" და „ინტერი" თამაშობენ. დღეს ასეა, ხვალ კი შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს

## შოტლანდია

### XI ტურის გამოტოვებული მატჩები

**დანდი 1:0 დანფერმლაინი**

1:0 ფალკონერი (71)

**მოზერველი 1:0 რეინჯერსი**

1:0 სპენსერი (54)

შოტლანდიაში მე-11 ტურის ორი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა და ერთი სენსაციაც მოხდა — „რეინჯერსი" მაჩნჩალა „მოზერველთან" დამარცხდა, რამაც, უპირველეს ყოვლისა, „კილმარნოკი" და მისი ქომაგები გაახარა. ახლა, როდესაც ჩემპიონატის მესამედი თითქმის გალეულია, ალი მაკოისტის გუნდი ლიდერს მხოლოდ ქულით ჩამორჩება და მშვენიერი შანსი აქვს, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

„მოზერველი" ჯონ სპენსერმა ახეირა. მისი უძლიერესი დარტყმა მატჩის ერთადერთი გოლით დაგვირგვინდა. აღსანიშნავია, რომ სპენსერმა, რომელიც შოტლანდიის ეროვნული გუნდის წევრია, თავისი კარიერა სწორედ „რეინჯერსში" დაიწყო, ახლა კი პრემიერლიგურ „ევერტონში" ირიცხება — ლივერპულელებმა „მოზერველს" იგი სამი თვით ათხოვეს. საგოლე გადაცემა მას კიდევ ერთმა ახალწვეულმა, ორშაბათს „მანჩესტერ სიტიდან" 400 ათას გირვანქად გადაბირებულმა ტედ ბრანანმა მიაწოდა.

— ჯონი დღეს შეუდარებელი იყო, მაგრამ მთლიანად გუნდის თამაშით მეტად უკმაყოფილო ვარ. გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდა და მიხარია, რომ იგი მოვიპოვეთ. შაბათს „აბერდინთან" გვიწევს პაექრობა და თუ გუნდი ისე ითამაშებს როგორც დღეს სპენსერი, მაშინ მორიგი სამი ქულის მოპოვებაც არ უნდა გაგვიჭირდეს — აღნიშნა მატჩის დასრულებისთანავე მასპინძელთა თავკაცმა ბილი დევისმა.

— ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა — რამდენიმე დღის განმავლობაში ურთულესი ბრძოლების გადატანა მოგვიხდა და ეტყობა, ბიჭები გადაიღალნენ. მიუხედავად ამისა, ერთი გოლი, განსაკუთრებით ბოლო 15 წუთში, მაინც უნდა გაგვეტანა — გლაზგოელთა ჰოლანდიელი დამრიგებელი დიკ ადვოკაატი უკმაყოფილებას ვერ მალავდა.

მეორე შეხვედრაში, რომელიც გადაულებელი წვიმების გამო გადაიდო, „დანდიმ" ჩემპიონატის აუტსაიდერი, ფრეების მოყვარული „დანფერმლაინი" დაამარცხა. აქაც ერთადერთი გოლი გავიდა, იგი ფალკონერმა თავით გაიტანა, „დენს პარკზე" შეკრებილი მაყურებელიც გაახარა და გუნდი მე-7 ადგილზე გადააბრძანა.

**დავით ძოწზირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 11 | 6 | 3 | 2 | 17:6 | 21 |
| კილმარნოკი | 11 | 5 | 5 | 1 | 14:7 | 20 |
| სელტიკი | 11 | 4 | 5 | 2 | 18:11 | 17 |
| სტ. ჯონსტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 16 |
| დანდი იუნ. | 11 | 3 | 4 | 4 | 9:11 | 13 |
| ჰართსი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:13 | 13 |
| დანდი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| მოზერველი | 11 | 3 | 3 | 5 | 6:14 | 12 |
| აბერდინი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:15 | 10 |
| დანფერმლაინი | 11 | 1 | 7 | 3 | 8:14 | 10 |

# იუბილარი ლონდონელი

ლონდონში ჩემი სტუმრობის მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩის გაშუქება იყო ინგლისურ „არსენალსა" და კიევის „დინამოს" შორის. ეს შეხვედრა უკრაინაშიც და ნისლიან ალბიონზეც უდიდეს ინტერესს იწვევდა, რადგან წარმატების შემთხვევაში ინგლისის ჩემპიონი ჯგუფიდან გასვლის ჩინებულ შანსს იძენდა, კიეველებს კი სასურველი შედეგით ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ჯგუფიდან გასვლის ასპროცენტიანს არა, მაგრამ მაინც კარგ შესაძლებლობას. ამ მატჩის შედეგი ახლა ყველამ კარგად ვიცით და რა აუცილებელია, მრავალჯერ თქმული, ნანახი და გაგონილი კიდევ ერთხელ გავიმეოროთ. მხოლოდ იმაზე მოგითხრობთ, რაც უშუალოდ თამაშის გარდა მაინტერესებდა მე და არა მხოლოდ მე.

ეს გახლავთ ლონდონის „არსენალის" ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. ინგლისელთა ფრანგი მწვრთნელი, არსენ ვენგერი.

ჩვეულებრივ, გუნდში მთავარი როლის შემსრულებელთა ხსენებისას მრისხანე ცენტრფორვარდი ან თამაშის ჭკვიანურად გამძღოლი გამთამაშებელი წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ. ერთი პირდაპირ კარზეა დაგეშილი და შიშის ზარს სცემს მეტოქეთა მცველებს და მეკარეებს, მეორე კი გეგმაზომიერად ანაწილებს პასებს, საგოლე სიტუაციებს უქმნის ფორვარდებს და, როგორც ამ შემთხვევებში ამბობენ, გუნდის მოტორის ფუნქციებს ასრულებს. ნამყვანთა მარაქაში მცველები და მეკარეებიც გამოერევიან ხოლმე, მაგრამ მწვრთნელის წარმოჩენა შედარებით იშვიათია. მწვრთნელები უპირატესად მაშინ ამოტივტივდებიან, როცა გუნდი ცუდად ირჯება და განტევების ვაცის პოვნაა საჭირო. ტრიუმფატორთა დიდება კი მეტწილად ფეხბურთელების ხვედრია. ვენგერი ამ მხრივაც გამორჩეულია. „არსენალის" ზეობისას, როდესაც გუნდმა ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, სიმენის, ადამსის, ბერხკამპის და სხვა ვარსკვლავების ქებასთან ერთად არავის დავიწყებია, რომ ამ წარმატებაში ვენგერსაც დიდი წვლილი მიუძღვოდა. სწორედ მისი მისვლის შემდეგ მიეცა „არსენალს" ძალა, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედთან" და პრემიერლიგის სხვა გუნდებთან უმძაფრეს კონკურენციაში გაამარჯვებინა და ოქროს მედლები არგუნა.

ჩემი პირველი ნაცნობობა არსენ ვენგერთან, უფრო სწორად, მის კლუბთან 1994 წელს შედგა, როდესაც იგი სამშობლოში მუშაობდა და „მონაკოს" წვრთნიდა. მაშინ, ოთხი წლის წინ, მომეცა საშუალება, დავსწრებოდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრას „მონაკოსა" და „მილანს" შორის. ფრანგები დამარცხდნენ, კაპელოს ბიჭებმა არავითარი შანსი არ დაუტოვეს ვენგერის შეგირდებს. არ მინდა, გულთმისნობა დავიბრალო, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ბევრი რამ გაცხადდა, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ვენგერს მაშინვე ეტყობოდა, რასაც წარმოადგენდა. „მონაკო" თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ჩამოუვარდებოდა კლასით მეტოქეს. თამაშობდა და ჩანდა, რომ მის სათავეში ვინმე დილეტანტი კი არა, რეალური ფიგურა და მოაზროვნე მწვრთნელი იდგა.

თავადაც მოგეხსენებათ, ვენგერის დონის სპეციალისტებთან გასაუბრება მათი მოუცლელობის და სხვა ფაქტორთა გამო ყოველთვის ჭირს, ისეთი საპასუხისმგებლო მატჩის წინ კი, ლონდონელებს რომ ელოდათ კიევის „დინამოსთან", ვენგერის მოხელთება ხეირიანად სასაუბროდ კიდევ უფრო გაძნელდა. ამიტომაც იყო, რომ ინგლისში სამჯერ მოვახერხე ვენგერის ხილვა და მუდამ ჟურნალისტების, გულშემატკივრებისა და ოფიციალურ პირთა გარემოცვაში. ამის გამო იქნებ ჩემი კითხვები ხანდახან უადგილოდაც ჟღერდა და იქ მყოფთა გაკვირვებას იწვევდა, მაგრამ როცა ჟურნალისტი თავისი მიზნის მიღწევას ლამობს, ამას როდი დაგიდევთ. მეც ასეთ მდგომარეობაში გახლდით და ავად თუ კარგად ჩემსას ვცდილობდი. ასე რომ, თუ ეს ინტერვიუ არათანმიმდევრული და ოდნავ არეული გეჩვენოთ, მკაცრად ნუ განმსჯით.

**— მუსიე ვენგერ, რა არის თქვენთვის „არსენალი" და რა უპირატესობას ანიჭებთ მას იმ გუნდებთან შედარებით, რომლებთანაც ადრე გიმუშავიათ?**

— „არსენალი" ჩემი ცხოვრების ამჟამინდელი ეტაპის ყველაზე დიდი საფიქრალია — მთლიანად მისით ვარ დაკავებული და მასზე ვზრუნავ. სიმართლე გითხრათ, ინგლისში და კერძოდ ლონდონში მშვენივრად ვგრძნობ თავს. ჩემი ახლანდელი კლუბი წინამორბედებზე უფრო მაღალი კლასისაა და აქ ნაყოფიერი მუშაობის და თავის გამოვლენის უკეთესი პირობები მაქვს. ამ საკითხზე ბევრი შეიძლება ისაუბროს კაცმა, მაგრამ ამ კითხვაზე მოკლედ ასე გიპასუხებდით.

**— რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის: ინგლისის ჩემპიონობის კიდევ ერთხელ მოპოვება თუ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება?**

— შარშან ჩვენ უკვე მოვახერხეთ დიდი მიზნის მიღწევა, ანუ ინგლისის ჩემპიონები გავხდით. არაერთხელ მითქვამს და ერთხელაც ვიტყვი, წელს ჩემს მთავარ ამოცანად ამ შედეგის კიდევ ერთხელ გამეორება მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს შარშანდელზე უფრო ძნელი იქნება. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ნებისმიერი ინგლისური გუნდისთვის ურთულესი ამოცანაა. შინაური ჩემპიონატის ერთობ გადატვირთული კალენდრის გამო. ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში უკეთ გამოსასვლელად ყველაფერს გავილებთ, მაგრამ რამდენად შორს წავალთ, წინასწარ მიჭირს ამის თქმა.



არსენ ვენგერის ლონდონის „არსენალში" გამოჩენას ჯერ პრემიერლიგის მოგება მოჰყვა...

**— „არსენალის" პრეზიდენტმა პიტერ ჰილ-ვუდმა განაცხადა, ჩემთვის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უფრო პრესტიჟული იქნება, ვიდრე ინგლისის ჩემპიონობაო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გუნდის ხელმძღვანელთა შორის ერთგვარი უთანხმოებაა?**

— ჰილ-ვუდმა თავდაპირველად ასე თქვა, ამ ორივე ტიტულის მოგება ყველაზე სასურველი ვარიანტი იქნებოდაო. რა უთანხმოებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? უბრალოდ, ადამიანმა თავისი სურვილი გამოთქვა, მეტი არაფერი. ისე, ორივე ტურნირში გამარჯვებაზე არც მე ვიტყოდი უარს.

**— გულწრფელად მითხარით, ელოდით შარშან ასეთ ტრიუმფალურ ფინიშს ინგლისის ჩემპიონატში, მით უმეტეს, „მანჩესტერის" მეტად შთამბეჭდავი თამაშის და ქულათა დიდი მარაგის ფონზე?**

— კაცმა იმედი არასდროს უნდა გადაიწუროს. კონკრეტულ შედეგზე აბა, რა გითხრათ, ისე კი ჩემი ბიჭების ყოველთვის მჯეროდა. ჩვენ მაღალი კლასის გუნდი ვართ.

**— მართალია თუ არა, რომ ჰოდლის პოზიციების შესუსტების შემდეგ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე თქვენ ყველაზე რეალური კანდიდატი ხართ?**

— ბოლო ხანებში ხშირად მიწევს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მეკითხებიან გულშემატკივრები, ჟურნალისტები და ბევრი სხვა. ერთხელ და სამუდამოდ მინდა განვაცხადო, რომ ჩემი თავი არც ისე ძლიერ მძულს, ამ თანამდებობისთვის რომ გავიმეტო. საერთოდ კლუბში მუშაობა ბევრად უფრო მიზიდავს, ვიდრე ნაკრებში მოღვაწეობა. საკლუბო ფეხბურთი უფრო საინტერესოა. თავად დაფიქრდით, რა სიამოვნება უნდა მოგანიჭოს ნაკრებში მუშაობამ, როდესაც საკუთარ ფეხბურთელებს ხანდახან თვეობითაც კი ვერ ხედავ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ასპარეზობა საერთოდ მეტად უინტერესოა, რადგან იქ ძალიან ბევრი სუსტი გუნდია და აქედან გამომდინარე, დაძაბულობაც ნაკლებია.

*...აღსანიშნავია, რომ კიევის დინამოელებთან მატჩის დღეს არსენ ვენგერს 49 წელი შეუსრულდა. ძნელი სათქმელია, მიიღო თუ არა ფრანგმა სპეციალისტმა შეხვედრის შედეგი საჩუქრად, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ის სულაც არ ტოვებდა ნაღვლიანი კაცის შთაბეჭდილებას. თუმცა მათ, ვინც ახლოს იცნობს ვენგერს, აღნიშნავს, რომ ეს კარგად გაკეთებული ნიღაბი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მას თურმე ჩინებულად ხელეწიფება ნერვების მოთოკვა.*

*მაინც რა გამოარჩევს არსენ ვენგერს პრემიერლიგაში მოღვაწე უამრავი სხვა სპეციალისტისაგან? უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის წმინდა ადამიანურ თვისებებზე. მწვრთნელის გუნდში მისვლისთანავე იგრძნეს ფეხბურთელებმა, რომ ვენგერი მარტო ნამდვილი პროფესიონალი არ არის, იგი პატიოსანი და ალალი ადამიანია. იგი არასდროს გაურბის უხერხულ კითხვებს და ცდილობს, იპოვოს პასუხი, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ეს. გარდა ამისა, არსენ ვენგერი არასდროს ცდილობს სხვისი როლის დაკნინებას და საკუთარი თავის განდიდებას. აქედან გამომდინარე ის ყოველთვის ყურადღებით ისმენს კრიტიკას და პრესასთანაც ჩინებული დამოკიდებულება აქვს, რაც ყველაზე კარკიტა ჟურნალისტებსაც კი აიძულებს, მასზე მორიდებულად და დელიკატურად წერონ. მწვრთნელმა შესანიშნავად იცის, რა სურს და სამწვრთნელო საქმეში იშვიათი შორსმჭვრეტელობით და ეშმაკობით გამოირჩევა. თანაც როგორც უკვე მოგახსენეთ, ვენგერს შესაშური თავშეკავების უნარიც აქვს.*

*არსენ ვენგერი არ განეკუთვნება იმ მწვრთნელთა კატეგორიას, რომლებიც გუნდში მისვლისთანავე ყველაფერს ცვლიან და საქმეს სრულიად თავიდან იწყებენ. ამის მაგალითად იგივე „არსენალიც" გამოდგება. გუნდში მისვლისას მწვრთნელმა არად ჩააგდო ის, რომ მაგალითად ხუთი მცველით თამაშის მოდელი მისი წინამორბედის, ჯორჯ გრეჰემის მოგონილი იყო, რადგან ეს პრინციპი აშკარად ამართლებდა. სამაგიეროდ, ვენგერმა გუნდს უამრავი სხვა სასარგებლო სიახლე აჩუქა, რისი უნარიც მას ნამდვილად შესწევდა და შესწევს.*

*მისასალმებელია ისიც, რომ ვენგერი მოთამაშეებს შესაძლებლობათა ფარგლებში თავისუფლებასაც ანიჭებს და არ ზღუდავს მათ აუხსნელი, თავბრუდამხვევი სქემებით.*

**— რას ფიქრობთ სუპერლიგის შექმნის იდეაზე, რომელიც ახლა ძალიან პოპულარულია?**

— არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მე ჩემი აზრი გამაჩნია და მას არც დავმალავ. სუპერლიგის წარმოქმნის იდეა დროის ნაკარნახევია და, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან მას აუცილებლად შეესხმება ხორცი. შეიძლება ვინმემ ხელოვნური ბარიერები შექმნას და ეს პროცესი შეგნებულად გაწელოს, მაგრამ ამით არაფერი გამოვა, რადგან ადრე თუ გვიან ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

**— მაინც რაში ხედავთ სუპერლიგის დადებით მხარეებს?**

— ხალხი, რომელიც მთელი სულითა და გულით ეკიდება საქმეს და ნამდვილი პროფესიონალია, ბევრად დიდ ანაზღაურებას მიიღებს, ვიდრე ახლა. კლუბების მწვრთნელებსაც საშუალება მიეცემათ, არ გაუშვან მოთამაშეები მეორეხარისხოვან თამაშებზე, სადაც მათ ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყოველი თამაში უდიდეს ინტერესს გამოიწვევს, გაიზრდება სანახაობრივი მხარე და გულშემატკივრებიც ბევრად უფრო კმაყოფილნი იქნებიან.

**— თვლით, რომ ახლანდელი ჩემპიონთა ლიგა მისი სრულყოფის შემთხვევაშიც კი ვერ ზიდავს ამხელა ტვირთს?**

— ვერა, ვერ შეძლებს მაშინაც კი, ლიგაში გუნდების რაოდენობა 32-მდე რომ გაიზარდოს.

**— რომელი მატჩი მიგაჩნიათ შარშანდელი სეზონის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად?**

— ალბათ, ეს იყო უეფას თასის გათამაშებაში ნაწვნევი მარცხი ბერძნულ პაოკთან. მეტოქის მიმართ უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, უნდა აღვნიშნო — ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მაინც დავმარცხდით. ახლა უკვე გვიანია ამაზე საუბარი.

**— წლეულს, ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგაში უკეთ გამოსვლის იმედი გექნებათ. როგორ აფასებთ თქვენს შანსებს ამ პრესტიჟულ ტურნირში?**

— როგორც უკვე განვაცხადე, ამის პროგნოზი მეტად რთულია. რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივებს, უნდა გითხრათ, რომ ქვეჯგუფიდან გასასვლელად ჯერ კიდევ ბევრი ოფლისღვრა გვმართებს და მიუხედავად იმისა, რომ სადებიუტო მატჩები საკმაოდ კარგად წარვმართეთ, ძირითადი ბრძოლები ჯერ წინ არის.

**— ლიგის მატჩების ჩატარება „უემბლიზე" გიწევთ და არა მშობლიურ „ჰაიბერიზე". ეს თქვენი პლუსია თუ მინუსი?**

— ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა მიჭირს, რადგან „უემბლი" უფრო მეტ გულშემატკივარს იტევს, რაც ჩვენ წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა „ჰაიბერიზე" თამაშს უფრო მიჩვეულნი ვართ. და მაინც, ეს არამც და არამც არ უნდა იქცეს გადამწყვეტ ფაქტორად და დარწმუნებული ვარ, არც იქცევა.

**— აპირებთ თუ არა ახალ მოთამაშეთა შეძენას და თქვენი შემადგენლობის შეცვლას გუნდის გაძლიერების მიზნით?**

— როდესაც კლუბში ახალი მისული ვიყავი, შეძლებისდაგვარად თავს ვიკავებდი ასეთი ნაბიჯებისაგან. ახლა კი სერიოზულად ვიფიქრებ და საკითხს დღის წესრიგშიც დავაყენებ. ჩვენს ზოგიერთ რგოლს მცირედი გაძლიერება ნამდვილად არ აწყენდა.

*ტონი ადამსი: ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და თუ ფეხბურთელთა გარკვეული ჯგუფი კონკრეტულ შეხვედრაში კარგად ირჯება, მეორე მატჩში შეიძლება მარცხიც იწვნიოს. ამიტომ მწვრთნელს უნდა შეეძლოს მოთამაშეთა ეფექტური და უმტკივნეულო ცვლილებები. არსენ ვენგერი ამას ჩინებულად ახერხებს და „არსენალის" წარმატებები მეტწილად ამით არის განპირობებული.*

*დენის ბერხკამპი: არასდროს მომწონდნენ ის მწვრთნელები, რომლებიც მიზნის მისაღწევად სხვადასხვა უღირს ხერხებს მიმართავდნენ. ვენგერი ამას არასდროს იკადრებს. გარდა იმისა, რომ იგი ჩინებული სპეციალისტია, კარგი ადამიანიც გახლავთ. ჩემთვის მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა.*

*ემანუელ პეტი: ვენგერი მშვენივრად ერკვევა ფეხბურთში, კარგი ტაქტიკოსია და თავისი გონებრივი შესაძლებლობები ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობის დამყარების საშუალებასაც აძლევს. ის ხმას არასდროს უწევს. ჩვენს გვერდზე ვენგერის ყოფნა უკვე დიდი პატივია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია გუნდისთვის, რომელსაც სერიოზული ამბიციები აქვს.*

**— რას გვეტყოდით თქვენს მიერ შემუშავებულ საგანგებო კვების რეჟიმზე, რომელმაც, როგორც ამბობენ, დიდი როლი ითამაშა „არსენალის" გამარჯვებებში.**

— ამაზე დაწვრილებით საუბარი ახლა ძალიან დიდ დროს წაგვართმევს. პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ მასში გათვალისწინებულია ყველა ის კომპონენტი, რომელიც აუცილებელია ადამიანის, მეტადრე კი სპორტსმენის ორგანიზმისათვის. თანაც, ვთქვათ დაცვის ან თავდასხმის მოთამაშეებს კვების განსხვავებული რეჟიმი აქვთ. რომ არა სპეციალისტების დიდი დახმარება, ამ პროგრამის შემუშავება ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა.

**— და „არსენალში" პრობლემები არ შეგხვდათ? როგორც ცნობილია, სპორტსმენები, მეტადრე ვარსკვლავები, ხშირად ძნელად ეგუებიან მსგავს სიახლეებს.**

— არ შემხვედრია და არა იმიტომ, რომ მეტად მკაცრად ვიქცეოდი და ამით ყველას ვთრგუნავდი. უბრალოდ, ფეხბურთელებმა თავად შეიგნეს, ჩემს მიერ შეთავაზებული პრინციპების სიკეთე და საერთო მონდომებამ შედეგიც შესაბამისი მოგვიტანა.

**— აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ თქვენსა და მოთამაშეებს შორის სრული ურთიერთგაგებაა...**

— ასეა და ყველა ნორმალურ გუნდში ასეც უნდა იყოს.

**— თქვენი გუნდის ძირითად ღერძად ვინ მიგაჩნიათ?**

— „არსენალი" ლამაზი, ინდივიდუალური, მაგრამ ამასთან ერთად უაღრესად



...სეზონის მიწურულს კი, ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას მეორეც — ასოციაციის თასიც დაერთო

კოლექტიური თამაშის მიმდევარია. დააკვირდით მაგალითად, ბერხკამპს, ოვერმარსს ან ანელკას — გარღვევების დროსაც კი ისინი უაღრესად გუნდურ თამაშს ემსახურებიან. ამიტომ ამჟამად არავის გამოვყოფ, რადგან ჩვენს შემადგენლობაში თითოეულ ფეხბურთელს უდიდესი როლი ენიჭება.

*ვერ გეტყვით, რამდენად შევძელი, წარმომეჩინა არსენ ვენგერის ჭეშმარიტი სახე. ჩემი ხანმოკლე და დაძაბული მივლინების გამო ეს საკმაოდ რთული იყო, მაგრამ, ვფიქრობ, ის მაინც მოვახერხე, რომ გარკვეული წარმოდგენა შემექმნა ამ ადამიანზე, რომელიც მიუხედავად თავისი თითქოს მორიდებული და რბილი ხასიათისა, უდიდესი შრომისმოყვარეობით, შეუპოვრობით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს მხოლოდ რჩეულთა თვისებებია. არსენ ვენგერი კი ნამდვილად რჩეულია. რჩეული თავისი ფეხბურთელების და გულშემატკივრების.*

*ასე რომ, ვენგერის აზრით, მასაც და „არსენალსაც" საუკეთესო წლები ჯერ წინ აქვს, რადგან მისივე ადრე წარმოთქმული სიტყვები რომ გავიხსენოთ: „ჩვენ ვართ გუნდი, რომელსაც ბრწყინვალედ ეხერხება შეჯიბრებაში ჩაბმა. ეს „არსენალის" სულის შესაბამება, მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის უცხოა გაამპარტავნების გრძნობა და ბოლოს ჩვენი ძალაც ამაშია."*

**კონსტანტინე ბატკევიჩი** კიევიდან
საინფორმაციო-ანალიტიკური
ბიურო „ბპ"
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

# სპორტული ლატარია

# "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| კაიზერსლაუტერნი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| დორტმუნდი — ჰამბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვერდერი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| შალკე — ფრაიბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| აინტრახტი — ბაიერნი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| მიუნხენ 1860 — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| შტუტგარტი — ბოხუმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ჰერტა — ნიურნბერგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| კიოლნი — კიკერსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მაინცი — ობერჰაუზენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ვატენშაიდი — გიუტერსლო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| უნტერჰახინგი — ურდინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ჰანოვერი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კარლსრუე — ფიურტი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ზტ. პაული — კოტბუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ულმი — ფორტუნა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 2 ნოემბერი | | | |
| არმინია — ბერლინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქოვენთრი — არსენალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| დერბი — ლიდსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ევერტონი — მანჩესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლესტერი — ლივერპული | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| ნიუკასლი — ვესტ ჰემი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შეფილდ უენსდეი — საუთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| მიდლსბრო — ნოტინგემი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 2 ნოემბერი | | | |
| ტოტენჰემი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ბირმინგემი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბრედფორდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბერი — უოტფორდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| გრიმსბი — კრისტალ პალასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ოქსფორდი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტ ვეილი — შეფილდ იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სვინდონი — ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ტრანმერი — სტოკპორტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვულვერჰემპტონი — ბარნსლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბოლტონი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| ლანსი — მეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ...ს — ოსერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სტრასბური — ბორდო | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტულუზი — რენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ...ნსი — ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ...ომო — მონპელიე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| პარმა — ფიორენტინა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რომა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ვენეცია — ბოლონია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ...მპოლი — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ...ნტერი — ბარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| იუვენტუსი — სამპდორია | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| პიაჩენცა — მილანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| სალერნიტანა — ლაციო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ვიჩენცა — კალიარი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ტრევიზო — რეჯინა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბრეშა — ატალანტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჩეზენა — პესკარა | 3,4 | 2,8 | 2,1 |
| კრემონეზე — ლეჩე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ფ. ანდრია — კიევო | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ჯენოა — კოზენცა | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ლუკეზე — ტორინო | 3,6 | 2,8 | 2,0 |
| რეჯანა — მონცა | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ტერნანა — ნაპოლი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ვერონა — რავენა | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ატლეტიკო — ალავესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბარსელონა — სოსიედადი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბილბაო — ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბეტისი — სალამანკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სარაგოსა — ვალენსია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რასინგი — სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ესტრემადურა — რეალი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 1 ნოემბერი | | | |
| დეპორტივო — მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვილიარეალი — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| ატლეტიკო B — რაიო ვალეკანო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ლას პალმასი — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბარსელონა B — რეკრეატივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ალბასეტე — ორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბადახოსი — მალაგა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ოსასუნა — ლეგანესი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ერკულესი — მერიდა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ტოლედო — სევილია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეიბარი — კომპოსტელა ($14^{00}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სპორტინგი — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მალიორკა B — ლოგრონიესი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| სპორტინგი — მარიტიმუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბენფიკა — ლეირია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| რიუ ავე — ბეირა მარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პორტუ — სალგეირუში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ამადორა — ფარენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| აკადემიკა — გიმარაეში | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| შავეში — ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სეტუბალი — ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| კამპომაიორენსე — ბრაგა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| როსტსელმაში — ალანია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჟემჩუჟინა — ურალანი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| დინამო — კრილია | 1,7 | 3,6 | 2,0 |
| ლოკომოტივი — ბალტიკა | 1,4 | 4,0 | 2,2 |
| ზენიტი — ტიუმენი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 2,5 | 2,2 | 2,5 |
| შინიკი — ცსკა | 2,9 | 2,4 | 2,0 |
| როტორი — ტორპედო | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| სიტარდი — ტვენტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| კამბური — ბრედა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ფეიენოორდი — ალკმაარი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჰერენვენი — ვიტესი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მაასტრიხტი — ტილბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეინდჰოვენი — სპარტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ნაიმეგენი — აიაქსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| უტრეხტი — როდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვალვაიკი — გრააფსხაპი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| მუსკრონი — შარლერუა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბრიუგე — გენკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ეკერენი — გენტი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| სენტ ტრუიდენი — სტანდარდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლომელი — ოსტენდე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — ლიერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბევერენი — აალსტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვესტერლო — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ჰარელბეკი — ლოკერენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| ვიძევი — ლეხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვისლა — გურნიკი ($15^{30}$) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| რუხი — ლკს | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| რაძიონკოვი — სტომილი ($15^{30}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ამიცა — ზაგლებე ($14^{00}$) | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კატოვიცე — პოლონია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეგია — ოდრა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბელხატოვი — პოგონი ($16^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| სამსუნი — ტრაბზონი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ისთანბული — გაზიანთეფი ($15^{00}$) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქარაბუქი — გალათასარაი | 8,0 | 3,8 | 1,3 |
| ფერენბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ერზურუმი — ანთალია ($13^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ადანა — საქარია ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქოჯაელი — ალთაი ($15^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბურსა — დარდანელი ($15^{00}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ოქტომბერი | | | |
| დანდი — ჰართსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| დანფერმლაინი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| მოზერველი — აბერდინი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| კილმარნოკი — სელტიკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| არაუ — გრასჰოპერი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ლუცერნი — ბაზელი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სიონი — ლოზანა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| სერვეტი — ქსამაქსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ლუგანო — იანგ ბოისი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

## ჰოკეი. ნჰლ

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ოქტომბერი | | | |
| ბუფალო — ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| რეინჯერსი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ჩიკაგო — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კალგარი — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ვანკუვერი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ლოს ანჯელესი — ტამპა ბეი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ბოსტონი — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ოტავა — მონრეალი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნიუ ჯერსი — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| სენტ ლუისი — ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ნეშვილი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — დეტროიტი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ტამპა ბეი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ფილადელფია — ოტავა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ვანკუვერი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ფინიქსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 2 ნოემბერი | | | |
| აილენდერსი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კაროლინა — კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ედმონტონი — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| ...რმანია (მე-10) | 25 და ნაკლები . . . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| ...გლისი (მე-11) | 25 და ნაკლები . . . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| ...ალია (მე-7) | 22 და ნაკლები . . . . . 1,9; | 24 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| ...ანეთი (მე-8) | 25 და ნაკლები . . . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| ...რტუგალია (მე-9) | 22 და ნაკლები . . . . . 1,9; | 24 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| ჰოლანდია (მე-11) | 25 და ნაკლები . . . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| ბელგია (მე-12) | 26 და ნაკლები . . . . . 1,9; | 28 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| პოლონეთი (მე-14) | 22 და ნაკლები . . . . . 1,9; | 24 და მეტი . . . . . . . . 1,9 |
| თურქეთი (მე-10) | 23 და ნაკლები . . . . . 1,9; | 25 და მეტი . . . . . . . . 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

571. **ზურაბ ჯოჯიშვილი.** ცხინვალი. პედაგოგი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. თემურ მახარაძე, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის სიჭინავა, 4. მიხეილ მესხი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
572. **გიორგი გარდაფხაძე.** თბილისი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ვიტალი დარასელია, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ზაურ სვანაძე, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია
573. **ჯიმშერ ჩხარტიშვილი.** ქობულეთი. ინჟინერი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
574. **ალიოშა მარნაძე.** ხაშური. ინჟინერი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. გიორგი სიჭინავა
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, ნიაზ ძიაპშიპა, შოთა ხინაგაშვილი, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
575. **ავთანდილ ქოგულაძე.** ქუთაისი. პოლიციელი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ვლადიმერ გუცაევი, 5. რევაზ ძოძუაშვილი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გელა კეტაშვილი, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, თემურ ქეცბაია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
576. **ზურაბ მაჭარაშვილი.** ქუთაისი. ინჟინერი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
577. **ნიკა ქოლუა.** ფოთი. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ვიტალი დარასელია, 4. თემურ ქეცბაია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: აკაკი დევაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, კახი კალაძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თემურ ქეცბაია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
578. **გელა გეგეშიძე.** ფოთი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ვიტალი დარასელია, 4. გოჩა ჯამარაული, 5. თემურ ქეცბაია
გუნდი: ნიკა ტოგონიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, კახი კალაძე, ვიტალი დარასელია, გოჩა ჯამარაული, გიორგი დარასელია, სლავა მეტრეველი, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი
579. **ზაქარია ბუაჩიძე.** თბილისი. ფიზიკოსი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი
580. **მერაბ ბათინაძე.** ქედა. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
581. **იური ჯეირანაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 49 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვლადიმერ ბარქაია, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ ბარქაია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
582. **ტარიელ მაისურაძე.** თბილისი. სწავლული აგრონომი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი
583. **ილია ელიშერაშვილი.** თბილისი. გამომგონებელი. 65 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ავთანდილ ღოღობერიძე, 2. მიხეილ მესხი, 38 ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიქტორ პანიუკოვი, ავთანდილ ღოღობერიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
584. **ნიკო ქირვალიძე.** თბილისი. ინჟინერი. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: თეიმურაზ სტეფანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
585. **მერაბ გიორგობიანი.** თბილისი. ინჟინერი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მუნუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი
586. **თეიმურაზ მაჭარაშვილი.** თბილისი. ეკონომისტი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
587. **სოსო ბირკალიძე.** ოზურგეთი. გინესის რეკორდების კანდიდატი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ჟიულ ლიმბეკი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია
588. **გიორგი ქარდავა.** თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
589. **ირაკლი ქარდავა.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
590. **ვახტანგ კოლელიშვილი.** თბილისი. ტექნოლოგი. 64 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, ალექსნდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
591. **ბესო თევდორაძე.** თბილისი. ინჟინერი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
592. **თამაზ გუგელაძე.** ქუთაისი. ინჟინერი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მანუჩარ მაჩაიძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
593. **გიორგი ნახუცრიშვილი.** თელავი. მენეჯერი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ვლადიმერ გუცაევი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მიხეილ მესხი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
594. **გელა ქაჯარავა.** ბათუმი. ქორეოგრაფი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. გიორგი სიჭინავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
595. **კაკი გელაშვილი.** კასპი. დალაქი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. ჯონი ჯანელიძე, 2. თემურ მახარაძე, 3. ელგუჯა გუგუშვილი
ფეხბურთელი: 1. ოთარ გაბელია, 2. დავით გოგია, 3. სერგო კოტრიკაძე, 4. სერგო შუდრა, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ნიაზ ძიაპშიპა, ზარბეგ ებრალიძე, გიორგი ლუდუშაური, ლევან კობიაშვილი, გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული, პაატა მაჭუტაძე, ჯონი ჯაგიდისი, ბორის პაიჭაძე
596. **თეიმურაზ მაღლაკელიძე.** ქუთაისი. ინჟინერი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
597. **დომენიკ სეფიკელი.** თბილისი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. ილია ლობჟანიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. შოთა არველაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გენადი კაციაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, პაატა ბარნოვი, გიორგი სიჭინავა, კოტე მელქაძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი
598. **გიორგი ტატიშვილი.** გორი. მოსწავლე. 11 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. სერგო კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, შოთა არველაძე
599. **ბესო კვარაცხელია.** წალენჯიხა. ინჟინერი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, მურთაზ შელია, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი
600. **ბადრი კვარაცხელია.** წალენჯიხა. ინჟინერი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გელა კეტაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები „სარბიელის" მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

## საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

1 ____
2 ____
3 ____
4 ____
5 ____

## საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

1 ____
2 ____
3 ____

## საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები

1 ____
2 ____
3 ____
4 ____
5 ____
6 ____
7 ____
8 ____
9 ____
10 ____
11 ____

სახელი ____
გვარი ____
ასაკი ____
პროფესია ____
მისამართი ____

**თსუ 91:99 აზოტი**

თსუ: მშვილდაძე, წოწელია (22), მარკოიშვილი (8), ცქიტიშვილი (14), ხელაშვილი (13); გელაშვილი (2), არსიაშვილი (8), ვეფხვაძე, დიმიტრიადი (8), მგალობლიშვილი (16)

აზოტი: ულენტი (7), გაბისონია (10), გოგობერიშვილი (26), ბაბიაშვილი (22), ჯაფარიძე (25); გოგოლაძე (2), ჩაჩუა (4), კოჭლამაზაშვილი (3), ჯიმშელეიშვილი

მსაჯები დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

# აზოტის მხიარული არდადეგები

თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა, რომ მატჩი დაძაბული და საინტერესო იქნებოდა. ასეც მოხდა, მოედანზე ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. შეხვედრას ინტრიგას ისიც მატებდა, რომ კლუბები თანაბარი ქულებით მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებდნენ. მოგებული სატურნირო ცხრილში მდგომარეობას გაიმყარებდა და თსუ-ს ლიდერობაშიც შეეცილებოდა. გარდა ამისა, გამარჯვებული არდადეგებზე მხიარული განწყობით წავიდოდა — ჩემპიონატი ხომ ერთი თვით წყდება. სტუდენტებსა და რუსთაველებს თავი მართლაც არ დაუზოგავთ, რათა ეს პრინციპული შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაესრულებინათ. მაყურებელსაც ხეირი არ დაჰკლებია — ჩინებული სანახაობა იხილა. ესაა, დამარცხებული გუნდის ქომაგნი დანაღვლიანებულნი ტოვებდნენ ვერის ბაღს.

დამარცხებული კი თსუ გახლავთ, რომელმაც არაფერი დაიშურა. ბევრი იბრძოლა, მაგრამ ვერას გახდა. შედეგი არცთუ გასაკვირად მიგვაჩნია, რადგან სტუდენტებს გამარჯვების ნაკლები შანსი ჰქონდათ. ყველა დამეთანხმება, ულენტი და ბაბიაშვილი დიდი ძალაა და მათი მოსაკლისებით თსუ ძველებურად ვერ გამოიყურება. თანაც ეს ბიჭები ახლა სწორედ „აზოტის" ღირსებას იცავენ. შესუსტებული სტუდენტური გუნდი არც ძველმა თანაგუნდელებმა და არც ძირძველმა აზოტელებმა დაინდეს... თსუ დამარცხდა, მაგრამ მისი საბრძოლო ჟინის შემხედვარე მომავალი მეტოქეები უნდა ფრთხილობდნენ. ეს გუნდი ხელწამოსკრავი ნაღდად არაა და ოთხეულისკენ სავალ გზაზე ბევრს შეუშლის ხელს. ამის თქმის უფლებას განვლილი ექვსი ტური გვაძლევს.

შეხვედრა რუსთაველთა აქტიურობით დაიწყო, მათ ყველაფერი გამოსდიოდათ — ფარზე გარჯა, შორიდან თუ ახლო მანძილიდან სროლები. სტუდენტები გონს მალე მოვიდნენ და ჩვეულად ათამაშდნენ. წოწელიამ თანაგუნდელების გაძღოლა ითავა და მისი მონდომებით ანგარიში მალე გათანაბრდა 12:12. შემდეგ ქულა-ქულაზე თამაში გაჩაღდა. „აზოტი" უპირატესობას მაინც ინარჩუნებდა და მუდამ წინ იყო. სტუდენტები ანერვიულდნენ, შეტევებსაც აცუდებდნენ და ხშირადაც ჯარიმდებოდნენ, სულ მალე 7 გუნდური ჯარიმაც დაუგროვდათ. ვერც ცქიტიშვილი ირჯებოდა ძველებურად. მისი განეიტრალება გამოცდილ რუსთაველებს არ გასჭირვებიათ. ნიკა სამაღლეში უპირატესობას ვერ იყენებდა და ერთობ დაბნეული ჩანდა. ამას მისი 4 პერსონალურიც დაერთო და ქორქიას მისი შეცვლა მოუხდა.

„აზოტი" კი თავის შესაძლებლობებს მთლიანად ავლენდა. სწრაფი ტემპი მის წისქვილზე ასხამდა წყალს. მოთამაშეებიც ჩინებულად მოქმედებდნენ. გააზრებული შეტევები თუ ტაქტიკური ჩანაფიქრი ანგარიშშიც ისახებოდა. რუსთაველები მეტოქის შეტევებს იოლად უმკლავდებოდნენ, ხშირად ჩაჭრილ ბურთს ეფექტური გდებებით ამთავრებდნენ. ჯერ ბაბიაშვილმა ჩატენა, უკანახაზელებმაც ერთმანეთს უსიტყვოდ გაუგეს და გაბისონიას მიწოდებული პასი ულენტმა ნახტომშივე მოათავსა კალათში. თანაგუნდელებს არც ჯაფარიძე ჩამორჩა — მანაც ჩატენა. ასე რომ, პირველი ტაიმი მთლიანად „აზოტის" იყო.

თსუ-ს ქულათა შემატება დიდი ოფლისღვრით და გაჭირვებით უხდებოდა. თუმცა ქორქიამ ტაიმის მიწურულს მაინც შეძლო გუნდის დაწყობა და სტუდენტებიც ჩვეულად ათამაშდნენ.

მიუხედავად ამისა, თავიდანვე თამაშის ეშხში შესულ ვიცე-ჩემპიონზე მეტოქის სახეცვლას დიდად არ უმოქმედია და პირველი ნახევარიც თავის სასრგებლოდ დაასრულა.

შესვენების შემდეგ მწვრთნელის მიერ დამოძღვრილმა სტუდენტებმა ჩაგდეს და ამას ზუსტი სამიანიც მოაყოლეს. რუსთაველთაგან პირველად ექსსტუდენტმა ბაბიაშვილმა გამოილო ხელი, ქულაც მიითვალა და სამი საჯარიმოც. ანგარიშში სხვაობა კვლავ საკმაო გახდა 51:41. თსუ არაფრის დათმობას არ აპირებდა და მატჩის მოსაბრუნებლად ყველა ღონეს ხმარობდა. ცქიტიშვილმაც თავისი თავი იპოვა და ხელაშვილს ძველებურად შეუამხანაგდა. ამ დუეტის შეტევებს კი ყოველთვის მეტოქის ფარის დალაშქვრა მოსდევდა. წოწელიამ სამიანებს მიჰყო ხელი და „აზოტი" ერთი ხანობა აირია კიდეც. რუსთაველები ძველებურად ველარ ხეირობდნენ და ეს ანგარიშსაც დაეტყო 63:61. სხვაობის 2 ქულამდე შემცირებით ფრთაშესხმული სტუდენტთა ქომაგობა გასამხნევებელ შეძახილებს არ იშურებდა, მაგრამ მალე მათ იმედებს წყალი გადაესხა. თითქოსდა თსუ-ს უნდა ემძლავრა, მაგრამ მათ იღბალმაც ზურგი აქცია. სტუდენტებს უზუსტო გადაცემები და უხეირო სროლები მოუმრავლდათ და ერთ ადგილზე გაიყინნენ, მაშინ როცა მეტოქეს ყველაფერი გამოსდიოდა და ქულას ქულაზე აგროვებდა. წინა ნახევრის დარად, თსუ ხშირად ჯარიმდებოდა და წოწელიაც მალე გამოეთიშა თამაშს, მისი გასვლით კი გუნდი ერთობ დაზარალდა. ცქიტიშვილიც პირველივე ტაიმში მიღებული 4 პერსონალურით თამაშობდა და დაცვაში ფრთხილობდა, რის შედეგადაც რუსთაველები ფარზე გაბატონდნენ. სტუდენტთა გამოცოცხლება ქორქიამ ვერც ზედიზედ აღებული წუთშესვენებებით მოახერხა და ვერც ხშირი ცვილილებებით. ბოლო წუთის დაწყება თსუ-ს კარგს არაფერს უქადდა — 79:94. სტუდენტებმა მაინც გაიბრძოლეს, 12 ქულაც გაიხერხეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. რუსთაველები, მწვრთნელის დარიგების თანახმად, არ ჩქარობდნენ და თამაშიც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

**მამუკა ტუღუში**



ნიკა ცქიტიშვილმა (შუაში) კი მოინდომა, მაგრამ ირაკლი ჯაფარიძემ და ზვიად ბაბიაშვილმა (5) დიდად არ ახეირეს



**სდასუ 76:91 დინამო**

ტაიმი 43:49

სდასუ: ახობაძე, აბულაძე (17), გიგაური (28), ქევხიშვილი (2), მაჭარაძე (12); ხარაძე (2), ქურდიანი (4), მოისწრაფიშვილი, არჩვაძე (4), ჩიქოვანი (7)

დინამო: ნიკოლაძე (11), წიკლაური (10), შანიძე (28), ყველაშვილი, მანველიშვილი (4); მეჭურჭლიშვილი (14), მაისურაძე (18), ახოიშვილი, ხეცურიანი (2), ახვლედიანი (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ალექსანდრე როსტომაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

# რა ტკბილი იყო ბრინჯაო

აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი სდასუ მერვე ეროვნულ ჩემპიონატს ასე უსუსურად დაიწყებდა, თუმცა, თავად ფაქტი ყველაფერზე მეტყველებს: აგერ, ბატონო, უკვე ექვსი ტური მიილია და სტუდენტებს გამარჯვება ჯერაც არ დაუგემოვნებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით არცთუ ხელწამოსაკრავი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ და ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაც ძალუძთ. აი, თავიანთი თამაში კი ვერა და ვერ უპოვიათ. დამარცხებას დამარცხება მოსდევს და მათ თუ ასე გააგრძელეს, წარსული მიღწევები ოდენ ტკბილ მოგონებადღა დარჩებათ.

ზემოთ სდასუელების ბრინჯაოსნობა ვახსენეთ და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პატივი მათ გუშინდელ მეტოქესთან ჭიდილში ირგუნეს. დიახ, სწორედ „დინამო" მოიტოვეს უკან, თუმცა ეს უკვე ერგად დავიწყებული ძველია, აწმყოსთან ნაკლებ კავშირშია, მით უფრო, რომ მას მერე ორივე გუნდი ძირეულად გადახალისდა და თუ მოსეშვილის გუნდს „სისხლის გადასხმამ" კვალი დიდად ვერ დაატყო, სტუდენტების თამაში აშკარად გაუფერულდა.

მიუხედავად ამისა, მატჩის წინ მეტოქეთა შანსები თანაბარი იყო, ვერავინ დაასახელებდა გამარჯვებულის ვინაობას. თანაც ზედიზედ ოთხი დამარცხების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სდასუელები ნავსის გატეხვას შეეცდებოდნენ და შემდგომი ტურისთვის (ახლა ჩემპიონატი დროებით წყდება და 6 დეკემბერსღა გაგრძელდება) გუნება-განწყობილებას გამოიკეთებდნენ. მაგრამ როცა თამაში დაიწყო და მათ რიგებში გუნდის ლიდერი გიორგი ჩხეიძე ვერ ვიხილეთ, რასაც ორჯონიკიძის დისკვალიფიკაციაც დაერთო, ბუნებრივია, დინამოელთა შანსებიც ერთი ორად გაიზარდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ჯიჯოს გუნდი მიუტოვებია და ახლა უკლუბოდაა. მის გარეშე დარჩენილი სდასუელები კი ფრთამოტეხილ ფრინველს ჰგავდნენ და რა გასაკვირია, რომ ჟინმორეულმა „დინამომაც" ასეთ თუ ისე ადვილად გადაყლაპა ეს ლუკმა.

არადა, საწყისი წუთები სდასუ-მ უკეთ ჩაატარა. განსაკუთრებით მაჭარაძე აქტიურობდა, რომელმაც აშკარად აჯობა თავის მეურვე მანველიშვილს და როცა ეს თანაგუნდელებმაც შეატყვეს, სწორედ შოთას პასებით მომარაგებას მიჰყვეს ხელი. „დინამო" დამფრთხალი ჩანდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ზედიზედ სამი შეტევა „უფეშქაშა" მეტოქეს და როცა აბულაძის ჩვეულ 3-იანს ხარაძემ 2 ქულაც წაამატა, ანგარიში 11:3 იყო სტუდენტთა სასარგებლოდ.

მოსეშვილმა შეგირდები შეაფუცხუნა და ნიკოლაძის ნაცვლად მოედანზე მაისურაძე გამოუშვა, რამაც დინამოელები გამოაცოცხლა. მათ გააზრებულად და სწრაფად შეუტიეს, ამას კი მოწინააღმდეგეები ველარ უმკლავდებოდნენ და ხშირადაც ჯარიმდებოდნენ.

მეტოქის თავბრუდამხვევ ტემპს სდასუელები ასელა ანელებდნენ და ამადაც იყო, რომ ოთხი წუთის მანძილზე უკვე შვიდი გუნდური ჯარიმა დაუგროვდათ, თანაც სამი მაჭარაძეზე მოდიოდა. ბუნებრივია, იგი გამოიცვალა და ამის შემდეგ ფარზე „დინამოს" უპირატესობა გამოიკვეთა.

შეუჩერებელი გახდა შანიძე, რომელიც ნებისმიერი პოზიციიდან სიზუსტით გამოირჩა. მას წიკლაურმა და მაისურაძემაც აუბეს მხარი და უკვე მეათე წუთისთვის ანგარში თანაბარია 23:23.

შემდეგ აბულაძემ და მაისურაძემ გაცვალეს 3-იანები. გიგაურის სროლას მეჭურჭლიშვილი გამოეხმაურა, მაგრამ ნათელი გახდა, რომ „დინამო" ფიზიკურად უკეთ იყო მომზადებული, ხოლო სტუდენტთა რიგებში დაღლილობამ იჩინა თავი.

ჰოდა, როცა შანიძემ, მაისურაძემ და მეჭურჭლიშვილმა რიგრიგობით გაილაშქრეს მეტოქის ფარზე, ანგარიშში სხვაობამ 8 ქულა შეადგინა 38:30. სდასუ-მ ერთხანს კიდევ სძია მოწინააღმდეგეს, თითქოს წამოეწია კიდეც, მაგრამ ისღა მოახერხა, რომ ტაიმი მხოლოდ ექვსი ქულით წააგო.



შოთა მაჭარაძემ (10) ერთხანს სდასუ-ს ლიდერობაც ითავა, თუმცა „დინამომ" თავისი გაიტანა

ვერ გეტყვით, ასეთი რა უთხრა მოსეშვილმა შესვენებაზე თავის აღსაზრდელებს, მაგრამ მეორე ტაიმში „დინამო" ისე ამოქმედდა, თქვენი მოწონებული, სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი შეიქნა და საწყისი ოთხწუთნახევარი 12:0 მოიგო. ანგარიშიც უკვე კატასტროფული გახდა 61:43. სდასუ მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო გონს, მაგრამ ურთულესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ მოტრიალება მის ძალებს აშკარად აღემატებოდა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხუთი პერსონალურის გამო სტუდენტთა ლიდერებიც რიგრიგობით ტოვებდნენ მოედანს, მივხვდებით, რომ მათ მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა.

სასწაული კი არ მოხდა. ამჯერად „დინამომ" იმარჯვა, ღირსეულადაც და შარშანდელი წყენისთვის სრულფასოვანი რევანშიც აიღო.

**გიორგი გიკაშვილი**

გუშინწინდელ „სარბიელში“ დაიბეჭდა ინტერვიუ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ, გელა ტუკვაძესთან. მწვრთნელმა თავისი სათქმელი კი თქვა, მაგრამ ყველაფერი მისი გადასაწყვეტი არაა. მაგალითად, ნაკრებისთვის სავარჯიშო პირობების შექმნა ფედერაციის საქმეა და არა მისი. ამიტომაც მოვინახულეთ საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, ვლადიმერ გოიაშვილი.

# გედების ტბა თუ წყალბურთი?



ვლადიმერ გოიაშვილი

**— ბატონო ვლადიმერ, საკმაოდ მოულოდნელად ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ზღურბლთან აღმოჩნდით. როგორ მოემზადება ნაკრები საკვალიფიკაციო ტურნირისთვის? თავდაპირველად ფინანსური საკითხით დავიწყოთ...**

— ვერაფერს გეტყვით, რადგან არანაირი ფინანსური დახმარება არ ჩანს. არ ვიცი, რა იქნება საგაისო ბიუჯეტით, მაგრამ წელს ყველანაირი ფინანსური რესურსი ამოგვეწურა. წლევანდელ ტურნირებზე იუნიორთა და ახალგაზრდული ნაკრებები ნასესხები ფულით გავაგზავნეთ, დეპარტამენტს კი ჩვენთვის გათვალისწინებული ფული ჯერაც არ მოუცია, რის გამოც მე და ფედერაციის გენერალური მდივანი გივი ცქიტიშვილი მევალეებს ვემალებით. ამ დღეებში ჩვენმა რუსმა კოლეგებმა სხვადასხვა ასაკის ნაკრებები რუსეთის ღია პირველობაზე მიიწვიეს, მაგრამ პასუხს ვერ ვაძლევთ, რადგან წასასვლელი ფული არ გვაქვს. არადა, ამაზე უკეთესი საშუალება ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლად არ არსებობს. ეროვნული ნაკრების მონაწილეობაზეც თანხმობა მივეცით, მაგრამ უფულობის გამო არ ვიცით, წავალთ თუ ვერა. თუ ვერ წავედით, მკაცრი სასჯელი არ აგვცდება. სწორედ ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებული მსგავსი სიტუაციის გამო ერთი ხანობა ჩვენი ფედერაცია საერთაშორისოდან რამდენიმე წლით გამოაძევეს — მაშინაც თანხმობა მივეცით, მაგრამ ვერ წავედით.

**— თქვენ, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი, გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჯერჯერობით გამოსავალს ვერც ვხედავ. ალბათ, ისევ კლუბები უნდა მოძლიერდნენ ფინანსურად. მათ უნდა მიხედონ საკუთარ თავს. თუ არ იქნება კლუბები, მაშინ არ იქნება არც ჩემპიონატი, ეს კი ნაკრების აღსასრულიც იქნება. ნაკრების ძირითადი საბაზო გუნდი „დინამოა“. მან რომ საკუთარ თავს მიხედოს, ნაკრებს კანდიდატებს სათანადოდ მოუმზადებს. ჩვენთან კლუბები თავად ვერ ირჩენენ თავს და ყველაფერი მუქთად უნდათ. ასე არ იქნება. ისიც საკითხავია, გვჭირდება კი ასეთი ჩემპიონატი?

**— თქვენ ეკონომიკურად სუსტი კლუბები არ გინდათ თუ საერთოდ ჩემპიონატი?**

— რას ჰქვია, არ მინდა?! ჩემპიონატი კი გვინდა, მაგრამ ჩვენს მეტს არავის უნდა. არ უნდათ სპორტსაზოგადოებებს, კლუბებს, თორემ თავის თავს მიხედავდნენ.

**— ფედერაცია თუ ატარებს რაიმეს ეროვნული ჩემპიონატის და, საერთოდ, კლუბების გასაძლიერებლად?**

— ფედერაციის დებულებაში საამისოდ ჩადებულია უამრავი საშუალება, ვთქვათ, კომერცია და სხვა, მაგრამ საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, ამ რეზერვის გამოყენება არ ხერხდება. იგივე კომერცია დიდი გადასახადებისა თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო ისეთ დღეშია, თვით ამ საქმის პროფესიონალებიც კი ანებებენ თავს. ან განა რამდენი ფედერაციაა დღევანდელ საქართველოში ისეთი, საკუთარ თავს თავადვე რომ ინახავს? უფრო შორს თუ წავალთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ სპორტის კანონით ფედერაცია თავისუფალი უნდა იყოს დეპარტამენტისგან, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია. გამოსავალს ვხედავ სპონსორში, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ის ვნახეთ.

**— თქვენი ნათქვამი ნაკრების აღსასრულს ხომ არ ნიშნავს? ექნება თუ არა ეროვნულ გუნდს „ლაგუნა-ვერეზე“ ვარჯიშის საშუალება?**

— ნაკრების აღსასრული რა სათქმელია, ჩვენს ბაზაზეც ივარჯიშებს, მაგრამ საუკეთესო საშუალება, ალბათ, მაინც ის არის, რომ „დინამომ“ ზამთრის დახურულ აუზში ივარჯიშოს. იქ მომზადების საშუალება ნამდვილად არის.

რაც შეეხება ჩვენს სააქციო საზოგადოებას, მას დახმარება, რაც ყოველი ტურნირის წინ ორკვირიან შეკრებას ითვალისწინებს, თავის წესდებაში უწერია. აქ მე რომც არ ვიყო, ამას ყველა გააკეთებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ათი თვე ან მთელი წელიწადი უფასო მზადებას.

**— ორი კვირა რომ სერიოზული მზადებისთვის საკმარისი არ არის, განა ეს იმ წესდების შემდგენლებმა არ იცოდნენ? არ შეიძლებოდა, მეტი დრო მიგეცათ?**

— საკმარისი არაა, მაგრამ, არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ისე, რომ უფასოდ ივარჯიშონ მთელი წელი. მიუხედავად ამისა, ნაკრებიც და მისი საბაზო გუნდიც აქ უფასოდ ვარჯიშობდა.

**— სხვაგან ასე შეიძლება მართლაც არ ხდებოდეს, მაგრამ ნუთუ საქართველოსნაირ გაჭირვებულ ქვეყანაში არ შეიძლება შეღავათის მიცემა?**

— არავითარი შეღავათის გაწევა არ შეგვიძლია, სხვაგვარად შეიძლება დავეხმაროთ ჩვენს სპორტსმენებს. მაგალითად, თუ ჩვენი წყალში მხტომელი რუსეთში მიდის სასპარეზოდ, შეგვიძლია ვთხოვოთ და მათ ნაკრებთან ავარჯიშონ. მაგრამ წყალში მხტომელი ერთი სპორტსმენი სხვაა და მთელი გუნდის შენახვა — სხვა. აქ საკითხი სხვანაირად დგას — ეროვნული, იუნიორთა, ახალგაზრდული ნაკრები, კლუბები — ყველას უფასოდ უნდა ვარჯიში, ყველას შეღავათი უნდა გაუწიო, ამ დროს კი ჩვენ არავინ გვიწევს შეღავათს. ჩვენ ისევე ვიხდით გადასახადებს, როგორც ნებისმიერი სხვა ფირმა. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვთანხმდებით დიდ შეღავათებზე, რადგან თანხების მოზიდვის სხვა საშუალება გვაქვს. აქ უკვე ახალი პრობლემა იჩენს თავს — ზაფხულში აუზში ხალხი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ზამთარში. თანაც, მოსახლეობა ეკონომიკურად გაჭირვებულია...

**— საუბარი ძალიან კომერციული გამოგვდის. ამიტომ მიჩნდება კითხვა, ვისი პოზიციიდან ლაპარაკობთ, სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერეს“ გენერალური დირექტორისა თუ საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტისა?**

— მე ვლაპარაკობ როგორც რეალისტი პრეზიდენტი. აქ მარტო იჯარის საკითხი არაა. დავიწყოთ იმით, რომ წყალბურთელი არ იღებს ანაზღაურებას. სირცხვილია, იმაზე ლაპარაკი, რომ სამსაათიანი ვარჯიშის საზღაურად სპორტსმენს ხელფასი არ ეძლევა. სხვა საქმეა სპორტული ბაზები. საქართველოში 160-ზე მეტი აუზია, რომელთაგანაც მხოლოდ 4-5 მუშაობს. აი, ასეთი ვითარებიდან ვცდილობთ გამოსავლის პოვნას.

**— ნაკრების საბაზო გუნდ „დინამოს“ რომ ბაზაზე არ უშვებთ უფულობის გამო, ესეც პრეზიდენტის რეალისტობის გამო ხდება? ამით ხომ ნაკრებს ექმნება პრობლემები. იმავე „დინამოს“, ასკ-ს სპორტკომპლექსის დირექტორი მიშა ფიდმანი უფასოდ ავარჯიშებს, არადა, ეს ბაზა რუსეთის კუთვნილებაა და ცოტა უხერხული სიტუაციაც იქმნება — რუსები უფასოდ ავარჯიშებენ, ქართველები — არა. თავი დავანებოთ „დინამოს“, ავიღოთ აუტსაიდერი გუნდი, რომელსაც არც ნაკრების კანდიდატი ჰყავს და არც ფული აქვს სავარჯიშოდ, რის გამოც არ უშვებთ ბაზაზე და არც პირობებს უქმნით. ასე ხომ წყალბურთი შეიძლება საერთოდ ჩაკვდეს.**

— არ ჩაკვდება, რადგან ის გუნდი და ის ხალხი, ვის ხელშიცაა წყალბურთის მომავალი, ვარჯიშობს. თსუ-მ, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდია, სპონსორი იშოვა, ჩვენ კი მას 50%-იანი შეღავათით ვახდევინებთ იჯარას. ეროვნული ნაკრების კანდიდატებსაც უფასოდ ვავარჯიშებთ. ზოგ მათგანს საზღვარგარეთ წასვლაც უნდა, ჰოდა, ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, შანსს ვაძლევთ. ერთეულთა დაშვება სხვაა, გუნდისა კი ცოტა ჭირს. ბოლო-ბოლო, ეროვნულ ნაკრებზე ლაპარაკი არაა, კლუბები კი სხვა საქმეა. მთელი წლის განმავლობაში უფასოდ არაფერი იქნება. ჩვენ უნდა ვიხადოთ კომუნალური გადასახადები, ამიტომ საკითხი კომპლექსის არგაჩერებაზე დგას.

**— თქვენთვის რომელი თანამდებობა უფრო მნიშვნელოვანია: „ლაგუნა-ვერეს“ დირექტორობა თუ საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტობა?**

— მე, ასე ვთქვათ, მორალურად ვარ პრეზიდენტი, საზოგადოებრივ საწყისებზე, უფასოდ ვმუშაობ. რაც შეეხება ჩემს დირექტორობას, აქ დაქირავებული ვარ კონტრაქტით სააქციო საზოგადოების მიერ და მის მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულება მევალება, რასაც ქართული საწყლოსნო სპორტის საკეთილდღეოდ ხშირად ვერც ვაკეთებ. ამით სარგებლობა კი მომაქვს ფედერაციისთვის, მაგრამ არ ვასრულებ დირექტორის მოვალეობებს, თუმცა ნელ-ნელა იშლება ის ტენდენცია, რომ წყალბურთელს სააქციო საზოგადოების ხარჯზე აღარც გავუკეთოთ.

**— ნათქვამია, ძნელია ორთა უფალთა მონობაო. თქვენ ამას ცდილობთ. არ გიჭირთ?**

— არ მიჭირს. პირიქით, მსიამოვნებს, რადგან მეპურე არა ვარ და აქ პროტექციით არ მოვსულვარ. მე ამ საქმის სპეციალისტი ვარ, ჩემს ქალაქს და ქვეყანას 50 წელზე მეტია ვემსახურები და გაუსაძლის დატვირთვას არ ვგრძნობ. ამ კომპლექსის შესაძლებლობებს სპორტისთვის ვიყენებ.

საუბრის ასეთ მაჟორულ ნოტაზე დასრულების მიუხედავად, ქართული წყალბურთის მომავალი ვარდისფრად სულაც არ მეჩვენება. უფრო მეტიც, თუ ფედერაცია და დეპარტამენტი დროულად არ გაისარჯნენ, მაშინ წყალბურთის აღსასრული შეიძლება არც ისე შორსაა. ამის დასტურად ისიც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ქალაქში ზოგნი ხუმრობით, ზოგნი კი სერიოზულად ამბობენ, გოიაშვილი აუზიდან წყალბურთელების ამოყვანას და სანაცვლოდ გედების ჩაშვებას აპირებსო.

**ირაკლი თავაძე**



„ლაგუნა-ვერე“ ის თაფლია, ბუზები რომ არ აკლია, მაგრამ წყალბურთი?



# ასანიძე და გოგია: რომელი მხარე ჯობია?



გიორგი ასანიძე

ნოემბრის დამდეგს ფინეთის ქალაქ ლახტში ძალოსნები მსოფლიოს ჩემპიონატს გამართავენ. ამ მარაქაში ჩვენებურნიც გაერევიან, ეგ არის მხოლოდ საქართველოს ნაკრები ორადორი ათლეტით წარსდგება ფინურ ფიცარნაგზე. როგორ და რა პირობებში ემზადებიან ჩვენი ძალოსნები? — ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტთან ბატონ **რამაზ გურგენიძესთან.**

— ფინეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყნის ღირსებას, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გიორგი ასანიძე (77 კგ) და მუხრან გოგია (105 კგ) დაიცავენ. ეს ბიჭები ამჟამად პოლონეთის ქალაქ ჩენოკში ემზადებიან ვანო გრიქუროვის მეთვალყურეობით, რომელმაც ჩვენს გაუსაძლის პირობებს თავი დააღწია და კარგა ხანია პოლონეთში საქმიანობს, იგი ამ ქვეყნის ჭაბუკთა და იუნიორთა ნაკრების მწვრთნელია.

**— გიორგი ასანიძე ადრეც პოლონეთში ვარჯიშობდა, მუხრან გოგია კი...**

— გრიქუროვმა ასანიძე ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე წაიყვანა პოლონეთში, კარგადაც მოამზადა და როგორც იცით, საჩხერელმა ათლეტმა ვერცხლის მედალიც მოიპოვა. სამიოდ თვის წინ კი მუხრან გოგიასაც უხმო თავისთან და საფინეთოდ ამზადებს. ბატონმა ვანომ, ჩვენი თხოვნით, იმდენი მოახერხა, რომ გოგია და ასანიძე პოლონეთის ნაკრების წევრებთან ერთად ვარჯიშობს.

**— ლახტში მხოლოდ ორი ათლეტი გამოვა, სხვების წაყვანა უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა თუ სათანადოდ არ იყვნენ მომზადებული?**

— საჭირო თანხებს როგორმე გამოვძებნიდით, მაგრამ აქ ორი მომენტია, წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია არ თამაშდება, მეორეც, დღესდღეობით სხვებს მედლის მოპოვების შანსი ნაკლებად არ აქვთ. ამადაც მიგვყავს ფინეთში ორი ძალოსანი.

**— ასანიძე და გოგია კი შეძლებენ წარმატების მიღწევას?**

— გიორგის ნამდვილად გვეიმედება. ამასწინათ პოლონეთიდან შეგვეხმიანა, კარგ ფორმაში ვარო, გვითხრა. მის შრომისმოყვარეობასა და მიზანსწრაფვასაც თუ გავითვალისწინებთ, ფინეთში რომელიმე სინჯის მედალს გამოკრავს ხელს. მუხრანი უფრო საგაისოდ უნდა მოემზადოს, მას შეუძლია ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვოს და სამომავლოდ სიდნეიში წარმატებაზე იფიქროს.

**— ასანიძეს მეტოქენი იოლად არაფერს დაუთმობენ, ვის უნდა უფრთხოდეს გიორგი?**

— 77 კგ-წონით კატეგორიაში ბულგარელები ბატონობენ, ასანიძესაც მათთან მოუწევს ჭიდილი, თუმცა, არც ტრადიციულად ძლიერი რუსი და უკრაინელი ათლეტები უნდა დავივიწყოთ, ამ წონაში ძლიერი სპორტსმენი ჰყავს ჩინეთსაც, რომელმაც შეიძლება ოქრო არავის დაანებოს.

**— ფინურ ფიცარნაგზე ერთი ქართველიც გამოვა, მიმიხვდით ალბათ, კახი კახიაშვილზე გეკითხებით.**

— როგორც იცით, კახი საბერძნეთის სახელით გამოდის. ფინეთში, სავარაუდოდ, 94 კგ-ში იასპარეზებს, მას არ უნდა გაუჭირდეს ოქროს მედლის მოპოვება, თუმცა ბულგარელი ივან ჩაკიროვი, გერმანელი ოლივერ კარეზი და უკრაინელი რიბიჩენკო საკმაოდ ძლიერი ათლეტები არიან და პირველობისთვისაც იბრძოლებენ. აქვე გეტყვით, კახიაშვილმა რომელი ქვეყნის სახელითაც არ უნდა მოიპოვოს გამარჯვება, მე ყოველთვის ვიამაყებ. ის ხომ ქართული ძალოსნობის სკოლის აღზრდილია.

**— ბატონო რამაზ, ფინეთს როდის გაემგზავრებით, ასანიძე და გოგია თბილისში ჩამოვლენ თუ პოლონეთიდან წავლენ ლახტში?**

— ვანო გრიქუროვი შეგირდებთან ერთად 8 ნოემბერს მოსკოვში ჩავა, მეც რუსეთის დედაქალაქში შევუერთდები მათ და მატარებლით გავემგზავრებით სკანდინავიას. ჩემპიონატი 9-ში დაიწყება, გიორგი ასანიძე თორმეტში, მუხრან გოგია კი თოთხმეტ ნოემბერს გამოვლენ ფიცარნაგზე.

**ზურაბ ტაბატაძე**



მუხრან გოგია



# იაგორაშვილი რჩება. როდემდე?



ვახტანგ იაგორაშვილი

ამას წინათ გაუწყეთ, ვახტანგ იაგორაშვილს უახლოეს ხანს მსოფლიო ტურის ზედიზედ სამი ეტაპი ელის და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, დიდ სპორტში დარჩეს თუ არა.

ხსენებულ ტურნირებზე იაგორაშვილმა უკვე იასპარეზა, ოღონდ სამის ნაცვლად ორში, რადგან მესამე არ გაიმართა და ორივეგან მეხუთე ადგილი დაიკავა.

ჩვენ, ცხადია, უპირველესად ის გვაინტერესებდა, გააგრძელებდა თუ არა ვახტანგი სპორტულ კარიერას. როგორც თავად გვითხრა, იგი კვლავაც იასპარეზებს, ოღონდ არ იცის, რამდენი ხნით, ასე რომ, სიდნეის ოლიმპიადაში მონაწილეობა ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია. შეგახსენებთ, რომ თუ ვახტანგი სიდნეიში ცდის ძალას, საქართველოს ღირსებას დაიცავს, რადგან აშშ-ის სახელით გამოსვლის უფლება არა აქვს. რაც შეეხება დანარჩენ ტურნირებს, მათში აშშ-ის სახელით გამოდის. ასე იყო მსოფლიო ტურის იმ ორ ეტაპზეც.

**ირაკლი თავაძე**

ამჯერად ნჰლ-ის კლუბებმა საკუთარი ქომაგებისთვისაც იზრუნეს და მათ ლამაზი, შემტევი ჰოკეი აჩუქეს. ბოსტონელმა „დათვებმა" კი თავიანთ გულშემატკივრებს 70-იანი წლების ლეგენდარული ესპოზიტოს და ორის დრო გაახსნეს

# შიში შეიქმს გოლებს

28 ოქტომბერი

**მონრეალი — ბოსტონი 2:9 (0:3 0:3 2:3)**

0:1 დონატო 1'36 (1); 0:2 ტეილორი 10'00 (1); 0:3 სამსონოვი 19'20 (4); 0:4 ფერასო 29'09 (3); 0:5 ხრისტიჩი 29'34 (3); 0:6 ლედიარდი 30'00 (1); 0:7 ფერარო 41'41 (4); რექი 49'50 (1); 1:8 ელისონი 53'51 (3); 1:9 ელისონი 54'36 (4); 2:9 ჰიგინსი 56'13 (1)

მას შემდეგ, რაც თითქოსდა ხეირიანად დაწყებულ უძნელეს 7-მატჩიან ტურნეში ბოსტონელებმა ზედიზედ 4 მარცხი იწვნიეს, მათმა გამოცდილმა მწვრთნელმა პეტ ბერნსმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე ფარმ-კლუბელებით შეცვალა. მართალია, დუბლიორებს თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, თადარიგში გადაყვანილი თანაგუნდელების ხვედრით შეშინებულმა ლიდერებმა ულამაზესი სანახაობა მოაწყვეს. 19 წლის იმედისმომცემი სკოტ ტორნტონიც (2 პასი) კი ჩინებულად ირჯებოდა, მას ყველაფერი გამოსდიოდა, აღარაფერს ვამბობთ გამოცდილ ელისონსა (2+1) და ხრისტიჩზე (1+2). გამოსარჩევნი მაინც სტუმართა რიცხვმრავლობის ბრიგადები (5-ჯერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა) არიან, რომელთაც დეივ მენსონის ხუთწუთიანი გაძევებით სამჯერ (!) იხეირეს. საბრალო მენსონს, რომელმაც აქსელსონს იდაყვი მიარტყა, ცხადია, ამ სასჯელს არ აკმარებენ. აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ მატჩამდე ერთი დღით ადრე მონრეალის მწვრთნელმა ალენ ვინიომ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.



ბოსტონელი პიტერ ფერაროს გოლი მონრეალელ ჟოზე თეოდორის კარში

**კაროლინა — ჩიკაგო 2:0**

0:0 1:0 1:0

1:0 კაპანენი 34'12 (4); 2:0 ფრენსისი 59'40 (2)

მასპინძელთა მწვრთნელმა პოლ მორისმა პირველად სეზონში კაპანენსა (1+1) და რობერტსს კლუბის ახალბედა ფრენსისი (1+1) შეუამხანაგა და ამან შედეგიც გამოიღო. თანაც კაპანენმა ტრავმის გამო ერთი მატჩის გამოტოვების შემდეგ გააგრძელა ქულიანი სერია.

**ნიუ ჯერსი — ლოს ანჯელესი 0:4**

0:1 0:1 0:2

0:1 ჯ. ჯონსონი 14'45 (1); 0:2 ბლეიკი 31'50 (2); 0:3 დიუშენი 49'13 (1); 0:4 ციპლაკოვი 53'48 (1)

ნიუ ჯერსის მცველმა შელდონ სურეიმ რი უხეში შეცდომით შრომა წყალში უყარა თანაგუნდელებს, რომლებიც უჩვეულოდ აქტიურობდნენ (40 დარტყმა).

**სან ხოსე — ფინიქსი 2:4**

1:0 1:1 0:3

1:0 ჰოულდერი 11'36 (2); 1:1 ტვერდოვსკი 23'55 (2); 2:1 გრენატო 35'56 (2); 2:2 ტოკეტი 42'38 (3); 2:3 ტკაჩუკი 53'49 (5); 2:4 რენიკი 54'13 (3)

**ედმონტონი — ვაშინგტონი 8:2**

3:1 2:0 3:1

1:0 ბუკბერგერი 3'32 (1); 2:0 გრირი 13'06 (2); 3:0 ბ. მირონოვი 14'23 (2); 3:1 ოუთსი 19'57 (2); 4:1 ბერანეკი 21'48 (2); 5:1 ჰამრლიკი 39'46 (1); 6:1 გერინი 46'03 (7); 6:2 ჟიუნო 51'09 (3); 7:2 მირონოვი 52'01 (3); 8:2 გერინი 57'41 (8)

ვაშინგტონის საუცხოო მეკარე ოლაფ კოლციგს ასეთი სირცხვილი, კარგა ხანია, არ უჭამია, მით უფრო, პირველ 22 წუთში გაშვებული 4 გოლი და თხოვნა — შემცვალეთო, „გოძილასთვის" უჩვეულო რამაა. თუმცა მაღაზე მოსულმა მასპინძლებმა ნაკლები დღე არც მის შემცვლელს რიკ ტაბარაჩის დააყარეს. ყველაზე უკეთ ფორვარდი ბილ გერინი (2+2)

გაისარჯა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში აწიოკებდა სტუმართა დაცვას და შედეგიც მოიმკო. პირველობის ახალმა საუკეთესო სნაიპერმა ჩემპიონატში გატანილი 8 შაიბიდან 6 რიცხვმრავლობაში შეაგდო.

**ფლორიდა — დეტროიტი 2:7**

0:3 1:3 1:1

0:1 ჰოლმსტრიომი 3'35 (2); 0:2 ფიოდოროვი 13'41 (2); 0:3 ჰოლმსტრიომი 16'08 (3); 0:4 მაკარტი 20'39 (4); 0:5 აიზერმანი 24'19 (2); 0:6 ლიდსტრიომი 28'47 (1); 1:6 დვორჟაკი 34'25 (2); 2:6 შპაჩეკი 45'00 (2); 2:7 მოლტბი 57'52 (1)

შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ „პანტერებმა" თითქოსდა გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ „წითელფრთიანებმა" მეტოქეთ აჩვენეს, რომ მათთვის გრანდებთან ჭიდილი ჯერჯერობით ნაადრევია. დეტროიტმა, სეზონში პირველად, 7 შაიბა შეაგდო, რაშიც ლომის წილი მცველმა ნიკლას ლიდსტრიომმა (1+2) და ფორვარდებმა — ტომას ჰოლმსტრიომმა და ბრენდან შენაჰანმა (0+3) დაიდეს. ამ უკანასკნელმა ქულიანი სერია 7 მატჩამდე გაზარდა, სერგეი ფიოდოროვმა კი კარიერაში 250-ე გოლი გაიტანა.

**კალგარი — პიტსბურგი 2:5**

1:1 1:2 0:2

0:1 ბარნსი 11'19 (3); 1:1 იგინლა 16'36 (4); 1:2 ბარნსი 22'28 (4); 2:2 ბურე 32'57 (2); 2:3 ვერენკა 38'55 (2); 2:4 ბრაუნი 54'36 (1); 2:5 ტიტოვი 59'05 (3)

პიტსბურგის გამარჯვება რიცხვმრავლობის ჩინებულად გამოყენებამ განაპირობა. ხუთივე შაიბა (!) მასპინძელთა კარში მათ მიერვე წესების დარღვევის შემდეგ გავიდა, თანაც იარომირ იაგრმა (3 პასი) მშვენივრად გაართვა თავი კაროლინაში გადასული ფრენსისის საპლეიმეიკერო ფუნქციას. ჩეხმა „პინგვინთა" მიერ ჩატარებულ 7 მატჩში 12 შედეგიანი პასი მიითვალა, ხოლო ვერენკასთვის გამიზნული პასი თვით გრეცკისაც შეშურდებოდა.

**ანაჰაიმი — ტამპა 5:3**

2:0 2:2 1:1

1:0 კარია 16'14 (4); 2:0 სანდსტრიომი 18'11 (2); 2:1 რენბერგი 22'12 (2); 3:1 გრიმსონი 31'53 (1); 3:2 კროსი 34'36 (1); 4:2 გრიმსონი 35'24 (2); 4:3 კლარკი 59'50 (6); 5:3 სელიანე 59'55 (4)

როცა ანაჰაიმელი სტიუ გრიმსონი (კარიერის 511 მატჩში ეს „პოლიციელის" პირველი დუბლია, სულ კი მის ანგარიშზე 11 შაიბაა) თამაშის იმტაზეა, „იხვების" ძლევა შეუძლებელი ხდება. გრიმსონის გარდა გამოირჩნენ ტამპელი ვეტერანი უენდელ კლარკი (კარიერაში მე-300 გოლი გაიტანა) და ანაჰაიმის მეკარე გი ებერი (42 მოგერიება). მიუხედავად მასპინძელთა ბოლოდროინდელი მიღწევებისა (+3=1-0), მატჩს ანაჰაიმის არენისთვის ანტისარეკორდო — 13,963 მაყურებელი დაესწრო.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ისტ-რუტერფოტოდან

ლოსანჯელესელი იან ლაპერერი ნიუჯერსელი ბრაიან როლსტონისთვის ხელის შეშლას ეცადა

## სატურნირო ვითარება

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 8 | 5 | 2 | 1 | 20:11 | 12 |
| პიტსბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:20 | 9 |
| აილენდერსი | 8 | 4 | 0 | 4 | 16:18 | 8 |
| რეინჯერსი | 9 | 2 | 3 | 4 | 15:23 | 7 |
| დევილსი | 7 | 3 | 0 | 4 | 12:17 | 6 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 8 | 3 | 3 | 2 | 19:15 | 9 |
| ვაშინგტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:18 | 8 |
| ფლორიდა | 7 | 2 | 3 | 2 | 12:18 | 7 |
| ტამპა | 9 | 3 | 1 | 5 | 22:28 | 7 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 8 | 5 | 1 | 2 | 26:21 | 11 |
| ბოსტონი | 9 | 4 | 1 | 4 | 24:16 | 9 |
| მონრეალი | 8 | 3 | 1 | 4 | 19:23 | 7 |
| ოტავა | 6 | 3 | 0 | 3 | 17:16 | 6 |
| ბუფალო | 7 | 2 | 2 | 3 | 14:15 | 6 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 8 | 6 | 6 | 2 | 28:14 | 12 |
| ჩიკაგო | 8 | 4 | 1 | 3 | 19:21 | 9 |
| სენტ ლუისი | 7 | 3 | 1 | 3 | 18:18 | 7 |
| ნეშვილი | 8 | 2 | 1 | 5 | 20:26 | 5 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:11 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 9 | 4 | 2 | 3 | 21:18 | 10 |
| ფინიქსი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:14 | 9 |
| ანაჰაიმი | 7 | 3 | 1 | 3 | 16:14 | 7 |
| სან ხოსე | 7 | 0 | 2 | 5 | 12:22 | 2 |

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 8 | 4 | 0 | 4 | 29:21 | 8 |
| ვანკუვერი | 8 | 4 | 0 | 4 | 23:19 | 8 |
| კალგარი | 8 | 2 | 1 | 4 | 21:30 | 5 |
| კოლორადო | 7 | 1 | 1 | 5 | 17:29 | 3 |

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 14 (2+12); შენაჰანი 13 (7+6); აიზერმანი (ორივე — დეტროიტი) 12 (2+10); გერინი (ედმონტონი) 11 (8+3); ლეკლერი (ფილადელფია) 11 (5+6); სუნდინი (ტორონტო), საიდორი (დალასი) და მესიე (ვანკუვერი) 11 (4+7); ლინდროსი (ფილადელფია) კლარკი (ტამპა) და კრივოკრასოვი (ნეშვილი) 10 (6+4); საკიკი (კოლორადო) 10 (5+5); რექი (მონრეალი) 10 (1+9)*



# დამსაჯეთ!

შტუტგარტი. გერმანია.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 2,45 მილიონი $

მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლა დღითიდღე უფრო მძაფრდება და პრეტენდენტებიც ყოველი შესაძლებელი თუ შეუძლებელი გზებით ცდილობენ, ერთიმეორეს ამ გადამწყვეტ მომენტში არაფრით ჩამორჩნენ — მიუხედავად იმისა, რომ პიტ სამპრასიცა და მარსელო რიოსიც გასული კვირის ლიონის ტურნირს ტრავმების გამო გამოეთიშნენ, შტუტგარტში ერთიც ასპარეზობს და მეორეც. მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ბოლოსწინა პირველობას ხომ ძალათა თანაფარდობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა შეუძლია: საკმარისია, სამპრასი მეოთხედფინალამდე გავარდეს და იმავე რიოსმა, ან თუნდაც მასავით კიკინიანმა პატრიკ რაფტერმა კვირას მთავარი ჯილდო შეათამაშოს ხელში, რომ კლასიფიკაციის პირველ საფეხურს ახალი პატრონი ეყოლება.

ზურგმტკივანმა ამერიკელმა ვარჯიში ორშაბათსღა განაახლა, მაგრამ გერმანიის პირველ ჩოგან ნიკოლას კიფერთან მეორე წრეში (პირველიდან გათავისუფლებული იყო) პრობლემები არ შექმნია: ერთადერთი მინი-კრიზისი, როდესაც მეორე სეტის დასაწყისში საკუთარი მოწოდება დაკარგა, მაშინვე დაძლია და კორტზე მხოლოდ საათზე ერთი წუთით მეტი გაატარა — 6:3, 6:4. „ისეთი რამის შეძლება, რაც ადრე არავის გაუკეთებია, ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ამისთვის მზად ვარ, ბოლომდე ვიბრძოლო — განაცხადა მატჩის შემდეგ სამპრასმა, რომელიც ზედიზედ მეექვსე სეზონის პირველ ჩოგნად დასრულებით ჯიმი კონორსის რეკორდის გაუმჯობესებას ცდილობს — ვგრძნობ, რომ ამაში შეუძლებელი არაფერია, მთავარია, კარგად ვითამაშო და ყველაფერს თავად მოევლება".



ისტ-რუტერფოტოდან REUTERS

პიტ სამპრასს ზურგი აღარ სტკივა

კენჭისყრამ ისე ინება, რომ მარსელო რიოსს პირველ მეტოქედ ტომი ჰაასი ერგო, 20 წლის გერმანელი, რომელთან შეხვედრის დროსაც ჩილელმა შაბათს ბარძაყისა და ზურგის ტრავმები აიკიდა. იარების მოშუშება ამ სამ დღეში რიოსმა ბოლომდე ვერ მოახერხა, მაგრამ თანამემამულეთა თვალწინ მოთამაშე, ჩვეულებრივზე მეტად აღელვებულ ჰაასს 6:3, 7:5 აჯობა. „ორი დღის განმავლობაში ჩოგანი ხელშიც კი არ ამიღია და ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. ზურგი ხანდახან თავს მაინც მახსენებს, თუმცა უკეთესის იმედი მაქვს. მთელი მატჩის განმავლობაში სტაბილურობის მიღწევა ვერ მოვახერხე, მაგრამ ალაგ-ალაგ მშვენივრად ვირჯებოდი" — განაცხადა ჩილელმა.

ახალგაზრდა გვარდიის თამაშით იმედგაცრუებულ თანამემამულეებს ხასიათი ისევ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ბორის ბეკერმა გამოუკეთა. ტრავმებით შეჭირვებულმა ჩოგბურთელმა, რომელსაც ნოემბერში 31 წელი უსრულდება, შტუტგარტის ტურნირამდე ხუთი დღით ადრეღა განაახლა ვარჯიში, მაგრამ როლან გაროსის ჩემპიონ კარლოს მოიას (4) მაინც არაფერი დაუთმო.

ბეკერს ესპანელთან ძველი წყენა აკავშირებს — 1997 წლის ავსტრალიის ღია პირველობაზე წინა წლის გამარჯვებულ გერმანელს მოიამ პირველივე წრეში, ხუთ სეტში მოუგო, რითაც თავის აღმასვლასა და მეტოქის ვარსკვლავის ჩასვენებას დაუდო სათავე.

ბორისმა პირველ ხელში სამი სეტ-პოინტი გაანიავა და ტაი-ბრეიკიც დათმო, მაგრამ თავისიანთა გასახარად მსგავსი შეცდომა აღარ გაუმეორებია — მეტოქეს მეორე და მესამე პარტიების დასაწყისში მოწოდებები აართვა და საათსა და 50 წუთში 6:7 (4:7), 6:4, 6:4 მოუგო. ისიც აღსანიშნავია, რომ ბეკერის არცთუ შთამბეჭდავი 8 ეისისა და 8 ორმაგი შეცდომის მიუხედავად, ესპანელს მეტოქის მოწოდებაზე მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არა ჰქონია.

„თავადაც მიკვირს, რომ ფიზიკურად ასეთი მძიმე მატჩისთვის მზად აღმოვჩნდი, ბადესთანაც ხეირიანად ვირჯებოდი, აი, მოწოდებაზე კი მუშაობა მომიწევს — გაანდო ჟურნალისტებს ბეკერმა, რომელსაც მერვედფინალში ძველი მეტოქე გორან ივანიშევიჩი ელის — მე და გორანს წლების მანძილზე არაერთი დასამახსოვრებელი ორთაბრძოლა გვქონია. იგი უკვე დიდი ხანია, საუკეთესოთა შორისაა და მასთან შეხვედრას მოუთმენლად ველი. ძველ დროსთან შედარებით, მატჩების შემდეგ სხეული ახლა უფრო მეტად მტკივა, თორემ გული ისევ საბრძოლველად მიმიწევს".

შარშან ამ დროს კლასიფიკაციის პირველი ასეულის მიღმა მყოფი ანდრე აგასი ამჟამად რიოსთან და რაფტერთან ერთად პიტ სამპრასს ტახტს ეცილება. ხოტორა ამერიკელმა რუმინელ ანდრეი პავლთან შეხვედრაში საქმე თავად გაირთულა — პირველ სეტში მეტოქის განადგურების შემდეგ მეორეში 5:2 დაწინაურდა, მაგრამ გვერდითი მსაჯის ერთმა საეჭვო გადაწყვეტილებამ წყობიდან გამოიყვანა და განერვიულებულმა ტაი-ბრეიკამდეც ძლივს მიატანა, რომელიც ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომით მეტოქეს თავად გადაულოცა.

ერთი ხანობა ანდრე ისე იყო ნერვებმოშლილი, ალბათ, ჩოგბურთის ისტორიაში პირველად, მთავარ მსაჯს სასჯელი თავად სთხოვა: „ბურთი მთელი ძალით ჭერს მივანარცხე, მერე მსაჯთან მიველი და ვკითხე, შენიშვნას რად არ მაძლევ-მეთქი. მიპასუხა, არ დამინახავსო. გეფიცები, ბურთი ავიღე და ჭერს ვხეთქე-მეთქი, გავუმეორე, მაგრამ რაც არ დამინახავს, იმისთვის ვერ დაგსჯიო, აქეთ შემომიტია და მეც რაღა დამრჩენოდა, დავეთანხმე"

გადამწყვეტ ხელში ანდრემ თავის მოთოკვა მაინც მოახერხა, თავიდანვე 3:0-ით დაწინაურდა და ამჯერად უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია — 6:1, 6:7 (5:7), 6:3, მატჩის შემდეგომ პრესკონფერენციაზე კი განაცხადა, ამჟამად პირველ ჩოგნად გახდომით მაინცდამაინც არ ვარ დაინტერესებულიო: „სეზონის ბოლო კლასიფიკაციისა და თვითრწმენისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი იქნება, თუ ამ ტურნირსაც მოვიგებ და ამის შემდგომსაც პარიზში, მაგრამ ეს დიდად არ მაღელვებს — მირჩევნია გაისად ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი გავხდე"

**მეორე წრე:** პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:1, 6:4; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — პეტერ კორდა (5, ჩეხეთი) 6:2, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ალექს კორეტხა (7, ესპანეთი) 6:2, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (10, რუსეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 7:6 (7:4); რიჩარდ კრაიჩეკი (11, ჰოლანდია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:1; გრეგ რუზეცკი (13, ინგლისი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 7:6 (7:4); გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6 (8:6); ტოდ მარტინი (აშშ) — კაროლ კუჩერა (8, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; ტიმ ჰენმანი (9, ინგლისი) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 7:5, 6:1.

**ავთანდილ სვანიძე**

# ბავშვი სახლიდან გაიქცა

ატლანტის ოლიმპიადაზე ოქროს მედლების მომგებ ამერიკელ ქალ ტანმოვარჯიშეთა გუნდის წევრი, ჩვიდმეტი წლის დომინიკ მოკიანუ სახლიდან გაიქცა და მშობლებთან ურთიერთობაზე ყოველგვარი უარი განაცხადა. საქმე ჰიუსტონის სასამართლომდეა მისული. გოგონა აცხადებს, რომ მშობლებმა მთელი მისი ფული მიითვისეს და გაანიავეს.

შარშან მოკიანუს ნახევარი მილიონი დოლარი უშოვნია და ახლა აღარ იცის ეს ფული სად წავიდა.

„ცხოვრებაში ასე არ გამჭირვებია. ოლიმპიადაზე გამოსვლა უფრო იოლი იყო, ვიდრე სახლიდან გაქცევა“, — თქვა გოგომ — „მაგრამ მე მომავლისა მეშინია. როდემდე ვიყო ასე ცარიელ-ტარიელი?“

დომინიკის მშობლები დიმიტრუ და კამელია მოკეანუები გაოცებულნი არიან და ყოველივეს შვილის მავან საყვარელს მიაწერენ. „მისი ფული მისსავე ბიზნესშია დაბანდებული. ჩვენ ტანვარჯიშის სკოლის გახსნა მოგვინდა და ამისთვის ორი მილიონი იყო საჭირო“ — უკვირს მამას.

„მე შინ არ დავბრუნდები“, — აცხადებს შვილი.

მოსამართლე ჯონ მონტეგომერის, რომელიც ამ რუმინული წარმოშობის ოჯახის საქმეს არჩევს, გვარიანი ჯაფა დაადგა, რათა მოდავენი ერთმანეთს არ დატაკებოდნენ. მოკეანუებმა არაფერი უთხრეს მედიას, სასამართლო კი იმ კვირაში განახლდება.

დომინიკი 1981 წელს დაიბადა ლოს ანჯელესში, სადაც მისი მშობლები ჩაუშესკუს რუმინეთიდან გადმოიხვეწნენ. ატლანტის ოლიმპიადისას ის 14 წლისა იყო და ამერიკის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახლდათ. მაშინ ინდივიდუალური მედალი არ ერგო, მაგრამ ახლა სიდნეის თამაშებს უმიზნებს.

სხვაფრივ კი სკოლის მოსწავლეა და თავისი შემოსავლების განკარგვა არ შეუძლია. თუმცა, ყველაფერი მოსამართლე მონტგომერიზე ჰკიდია.

REUTERS ჰიუსტონიდან







ვარსკვლავი ციდან რას დაეშვება, ვარსკვლავი ტოლ-სწორს დაუწყვილდება. მარცხნივ რომ ლამაზმანია, „ინტერში“ მოთამაშე ჩილელი ვარსკვლავის ივან სამორანოს მეუღლე, წლევანდელი „მის ჩილე“ დანიელა კამპოსია. მარჯვნივ კი მადრიდის „რეალის“ ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონის კრისტიან კარემბეუს რჩეული, ფოტომოდელი ადრიანა სკლენარიკოვაა.

# არც ნოემბერში

ნბა-ს უფროსობამ გამოაცხადა, რომ იძულებითი შესვენება, რომელიც მოთამაშეთა გაფიცვითაა გამოწვეული, კვლავ გრძელდება. კომისიონერმა დევიდ შტერნმა და ვიცე კომისიონერმა რას გრანიკმა თქვეს, რომ რეგულარული ჩემპიონატი არც ნოემბერში განახლდება.

ახლა თითოეულ გუნდს 69 თამაშის ჩატარების საშუალებაღა დარჩა, თუმცა როგორ გაგრძელდება ლოკაუტი, არავინ იცის. ამ კვირის შეხვედრებმა კალათბურთელებსა და ლიგის წარმომადგენლებს შორის შედეგები არ გამოიღო, რადგან გადაუწყვეტი რჩება მთავარი საკითხი — მოთამაშეთა ხელფასის ოდენობის შეფარდება ლიგის საერთო შემოსავლებთან.

შეხვედრაზე მოსულმა ორასმა ვარსკვლავმა, მაიკ ჯორდანისა და სკოტი პიპენის თამადობით, უკან არ დაიხიეს და ლოკაუტმა კიდევ ერთი თვე ჩაყლაპა.

REUTERS ნიუ იორკიდან



სკოტი პიპენი და მაიკლ ჯორდანი თავისაზე დგანან

REUTERS მელბურნიდან



„ჰარდი ბრაზერზის“ საოქრომჭედლო სალონის მენეჯერი მისის მაიკლი სიამაყით წარმოადგენს სამყურა „მელბურნის თასს“, რომელსაც აგერ უკვე მერამდენე წელიწადია ხსენებული სალონი ამზადებს. „მელბურნის თასი“ ავსტრალიის ყველაზე საპატიო და სახელოვანი სადოღე ჯილდო, ამ შუა კვირაში მელბურნისავე მთავარ საოქრომჭედლო მაღაზიაში გამოფინეს.

თასი 1919 წლის ჯილდოს თარგზეა დამზადებული „ჰარდი ბრაზერზის“ ოქრომჭედელთა მიერ, ხელოსნურ წესით. ის პირწმინდად ოქროსია, ამავ დროს ცხრაკარატიანი ბრილიანტის თვლებითაა შემკული და 30 ათასი დოლარი ღირს. თასს 150 საათის განმავლობაში აკეთებდნენ და ახლა დიდი რუდუნებით ეპყრობიან. ამ უქმეებზე დაგეგმილი მელბურნის მორიგი დოღი ხომ ის შეჯიბრია მთელს ოზების მხარეს რომ ტელევიზორებთან და რადიოებთან მიაჯაჭვებს ხოლმე.

# მოზურთალნი განადიდეს

ამერიკული ბურთაობის მამებმა გამოაქვეყნეს ამ სახეობის დარბაზის 1999 წლის ნომინანტთა სია.სიას სათავეში უდგანან ახლო წარსულის ლეგენდარული მობურთალნი ლოურენს ტეილორი და ერიკ დიკერსონი.

თავის დროზე სუპერ ბოულის ორგზის გამარჯვებული „ნიუ იორკ ჯაიანტსთან“ ერთად, ტეილორი ცნობილია, როგორც მობურთალი-რევოლუციონერი, სწრაფი, ჯანიანი და ჭკვიანი მოთამაშე. ის 80-იან წლებში იდგა მოედანზე და თავის ამპლუაში საუკეთესოდ ითვლებოდა.

„ლოს ანჯელეს რემზის“ მოთამაშე დიკინსონმა კი 2105 იარდი გაირბინა 1984 წლის სეზონში, რითაც ოჯეი სიმპსონის წლიური რეკორდი მოხსნა. შვიდი წლის განმავლობაში ის 1000 იარდის გამრბენთა შორის იყო, ჯამში კი 13 259 გაირბინა.

ორივენი პირველად დასახელდნენ ნომინანტებად, ისევე როგორც „ბუფალო ბილზის“ დიადი მწვრთნელი მერვ ნევი, რომელმაც ოთხჯერ გაიყვანა გუნდი სუპერბოულზე და ვერცერთხელ ვერ მოიგო.

სულ 76 ნომინანტიდან დიდების დარბაზში ოთხ ანშვიდ კაცს აირჩევენ. არჩევნების შედეგები კი 1999 წლის სუპერბოულის კვირეულისას გამოცხადდება მაიამიში.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29